# საქართველოს რესპუბლიკა 105

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 27 ივლისი. 2023 წ. №88 (9620) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


თითქმის წაგებული საინფორმაციო ომი

## ვირეშმაკები და უნიათოები პოზიციაში და ოპოზიციაში!



იხ. 3 გვ.

## პანიკა

უნდა გვეშინოდეს თუ არა ხელოვნური ინტელექტის? 7

ეს „რუსული კანონი“ რა ყოფილა?!



იხ. 3 გვ.

## მხოლოდ გონივრული თამაში გადაგვარჩენს!

სოსო არჩვაძე:

## არ გაგიკვირდეთ და... სამომხმარებლო ფასები საკმაოდ დაბალ დონეზე შენარჩუნდება



4

საქართველოს ეკონომიკა იზრდება, მაგრამ ჯერ 1988 წლის დონესთან შესაბამისობაშიც ვერ მოდის!

რამაზ საყვარელიძე:

## აღმაშენებელს ნახევარი აზია დაპყრობილი ჰქონდა, ამ ადამიანების სტრატეგიული აზროვნება კი იმის იქით არ მიდის, ბიძინა გადააგდონ თუ არა!



5

ნუგზარ რუხაძე:

## როგორ მოკლეს სერბეთის კენედი ზორან ჯინჯიჩი?



8



## ნანი ბრეგვაძის ვარსკვლავი ბაქოს ვარსკვლავების ხეივანში

12

თენგიზ გაჩეჩილაძე:

## „ს. რ.“105 სპორტი პრესაშიც გვაერთიანებს

10

# საელჩო ამერიკის სახელით!



## ერთმნიშვნელოვნად ცრუ და უპასუხისმგებლო ინფორმაცია

**ამერიკის შეერთებული შტატები შეშფოთებას გამოთქვამს საელჩოსა და საელჩოს თანამშრომლების საქმიანობაზე გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით და აღნიშნულ ფაქტს დეზინფორმაციად აფასებს,** – ამის შესახებ საქართველოში აშშ-ის საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

**„ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, თბილისსა და ვაშინგტონში, შეშფოთება გამოთქვა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ბოლო დღეების განმავლობაში აშშ-ის საელჩოსა და ჩვენი თანამშრომლების საქმიანობასთან დაკავშირებით ზოგიერთი მედიასაშუალებების მიერ გამოქვეყნებულ დეზინფორმაციასა და პოლიტიკური მოღვაწეების მიერ ამ დეზინფორმაციის გავრცელებასთან დაკავშირებით.**

**როგორც აღვნიშნეთ, თბილისში აშშ-ის საელჩოში არავის მიუღია მონაწილეობა ყოფილი პრეზიდენტის, სააკაშვილის ლობირებაში და არც დახმარებია მის ლობისტებს რაიმე შეხვედრის დაგეგმვაში. მავნებლური ინფორმაცია, რაც ამტკიცებს ან გულისხმობს, რომ საელჩოს თანამშრომლებმა ფული მიიღეს ლობისტური ფირმებისგან, ერთმნიშვნელოვნად ცრუ და უპასუხისმგებლოა“.**

## ნიკა მელია: კეზერაშვილს,მერაბიშვილსა და გოროზიას „ნაციონალურ მოძრაობაში“, ფულის შოვნის გარდა, არაფერი უნდათ...



**„კეზერაშვილმა და გატონმა მერაბიშვილმა უნდა გადაწყვიტონ, ნიკა მელია, უამრავ სხვა ადამიანთან ერთად, რომელ გზას დაადგება? გგონიათ, ამისკენ მივისწრაფვით? ადამიანებს, რომლებსაც დროის აღქმა აქვთ დაკარგული და არ იციან, მომავალ წელს კალენდრით რომ 2024 წელია, ჰგონიათ, გარეთ 2004 წელია.**

**მიხეილ სააკაშვილმა ის პროცესი, რომელიც დააგვირგვინა გამარჯვებით, სიმართლით, ღირსებით, ახლებური მიდგომით დაიწყო და არა სიძველით, სიყალბით, სიყალბის ლაბორატორიად გადაქცეული ორგანიზმიდან იდეების მსხვრევით. ამიტომ დაგვირგვინდა მაშინ წარმატებით. ვანო მერაბიშვილს, დავით კეზერაშვილს, ზაზა გოროზიას რა უნდათ ენმ-ში?**

**ფულის შოვნის გარდა არაფერი უნდათ. ვერცერთ მეგრელს ვერ იპოვი, რომელიც ალალად გეტყვის, ზაზა გოროზია იბრძვის იმიტომ, რომ ნებისმიერი მეგრელის, ქართველის თუ არაქართველის კეთილდღეობა გაზარდოსო. ხშირად მეკითხებიან, რა არის პრობლემა, რომლის განვითარებისთვის ხელის შეშლა შემეძლო, რაზეც ჩემი პასუხია: შემეძლო პარტია სარეველასაგან გამეთავისუფლებია, რიგი ადამიანები ჩამომეშორებია, მაგრამ ერთობა მიმაჩნდა ძალიან ძვირფასად ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ ახლა უკვე დავრწმუნდი, რომ სწორი ერთობაა მნიშვნელოვანი, რომელიც 24 საათი იმაზე კი არ ფიქრობენ, როგორ იშოვონ და მოიპარონ ფული.**

**სამწუხაროდ, ოპოზიციაში არიან ადამიანები, რომლებიც არანაკლებ მდიდრდებიან, ვიდრე სახელისუფლო შტოების წარმომადგენლები, ეს ახალია? შეუძლებელია, იყო ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში ათი წლის განმავლობაში და მილიონობით შეფასებულ სახლს მიმდინარე წელს ამთავრებდე. ანატომიურად ვიცნობ ამ ადამიანებს“,** – განაცხადა მელიამ „ტვ პირველის“ ეთერში.

მისივე თქმით, ზაზა გოროზია ფრიდონ ინჯიას უახლოესი ბიზნესპარტნიორია.

**„ივანიშვილი არის ბედნიერი, როდესაც ამათ უყურებს, რადგან იცის, გოროზია არის უახლოესი მოკავშირე ფრიდონ ინჯიასი. ზაზა გოროზიასთან ერთად სამეგრელოში რა უნდა მოხდეს? ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს გოროზიამ, ინჯიას უახლოესმა ბიზნესპარტნიორმა, „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატები რამდენიმე სოფელში არ დააყენა. ადგილობრივ პარტიას მოელაპარაკა, ინჯიას პარტიის წარმომადგენლები დაეყენებინათ. დაუჯერეს, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ საკუთარი კანდიდატები არ დააყენა ინჯიასა და გოროზიას შეთანხმების საფუძველზე. ოპოზიციამ ჯამურად მეტი მანდატი მოიპოვა მარტვილის საკრებულოში, მაგრამ ინჯია-გოროზიას კანდიდატებმა, რომლებიც დეპუტატები გახდნენ, რა ქნეს პირველივე დღეს? ხმა მისცეს „ქართულ ოცნებას“,** – განაცხადა ნიკა მელიამ.

## პირად კეთილდღეობაზე ორიენტირებული პოლიტიკოსები



**ნიკა მელიას განცხადებით დადასტურდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ვიწროპარტიულ ინტერესებზე ორიენტირებული პარტიაა და ვინც პარტიაშია, ორიენტირებული არიან სწორედ პირად კეთილდღეობაზე და არა ქვეყნისა და ხალხის ინტერესებზე,** – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე **ანრი ოხანაშვილმა** განაცხადა. ოხანაშვილის თქმით, როგორც ჩანს, ასეთი რაღაცები რომ ხდებოდა, მელიამ ან გვიან შეიტყო, ან ძალიან კარგად იცოდა, ვის რა ინტერესები ჰქონდა, მაგრამ სიხარბესა და ანგარებაზე ორიენტირებულ ადამიანებთან ერთად აკეთებდა იმ საქმეს, რასაც ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მოქმედება ჰქვია.

**„ვაშაძე და ხაზეიშვილი არიან გადაწყვეტილებების გამხმოვანებლები და რადიკალიზმის შემქმნელები, კონკრეტული დავალებების გათვალისწინებით. დიდი ხანია, რაც ვაშაძე ამ პარტიის აქტივისტია. ის ამ პარტიის მაღალ თანამდებობაზე იყო და პოლიტიკურად ჩართული იყო არაერთ საქმეში, როცა მოქალაქეების საწინააღმდეგო ქმედებები ხორციელდებოდა“,** – განაცხადა ანრი ოხანაშვილმა.

**ლევან ხაზეიშვილი კი ასე გამოეხმაურა ნიკა მელიას განცხადებას – ურთულესი საყურებელია კონკრეტული ადამიანის წუწუნი, მოთქმა და ჯუჯღუნი. წარმოუდგენელია ერთი და იმავე წუწუნით გინდოდეს ხალხის მხარდაჭერის მოპოვება, ასე არ გამოვა. ამიტომ კონკრეტულმა ადამიანებმა მიიღონ ეს გზავნილი. ავტომობილს ზეთის გამოცვლა სჭირდება, რომ ძრავა არ გაჩერდეს და თუ ასე გააგრძელებს მუდმივად მისი ერთი პრობლემის მოყოლას, ეს უფრო გააღრმავებს მის დეპრესიას. ჩემთვის უმძიმესია, მართლა ვწუხვარ, მეტი თანადგომა არ შემიძლია გამოვხატო ასეთი არაადეკვატურობის გამო“,** – აღნიშნა ხაზეიშვილმა.

## გურამ მაჭარაშვილი: რადიკალურ ოპოზიციას განაჩენს საქართველოს მოსახლეობა არჩევნებზე გამოუტანს



**„როგორც ჩანს, გადაწყვიტეს პოლიტიკური დახუჭობანას თამაში. ხან მელია დაიმალება გარკვეული ვადით და ხაზეიშვილი ეძებს, მერე მელია გამოვარდება და ამბობს, „დაგასტუკეო“; ახლა ვაშაძემ „დაასტუკა“ ხაზეიშვილი და ასე არასერიოზულად მივლენ 2024 წლამდე, საბოლოოდ კი საქართველოს მოსახლეობა „დაასტუკებს“ ამ რადიკალებს“,** – განაცხადა გურამ მაჭარაშვილმა. გურამ მაჭარაშვილმა ასევე ისაუბრა საქართველოს მეოთხე პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის შესაძლო გაერთიანებაზე „ნაციონალურ მოძრაობასთან“. როგორც გურამ მაჭარაშვილმა აღნიშნა, ვინც არ უნდა გაერთიანდეს ხელისუფლებაში ყოფნისას დაზიანებული პოლიტიკური პარტიის გარშემო, ასეთ პარტიას მაინც უარყოფითი შედეგები ექნება არჩევნებზე.

## დიმიტრი ხუნდაძე: განადგურებული უკრაინის პრეზიდენტი, ნაცვლად იმისა, რომ საკუთარ ხალხს სიმართლე უთხრას, ჩვენთვისაც კი იცლის...



**„ხალხის ძალის“ მიერ ერთი წლის განმავლობაში ქართველი საზოგადოებისთვის მიწოდებულმა სიმართლემ შედეგი გამოიღო – ხალხი ინფორმირებულია იმ კულუარულ პროცესებზე, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარეობს. სანდო ინფორმაციით აღჭურვილი საზოგადოება ძლიერია და მისი შეცდომაში შეყვანა უკვე შეუძლებელი ხდება. უკრაინულ საზოგადოებასაც რომ მეტი სცოდნოდა მათ სამთავრობო კულისებში მიმდინარე პროცესების შესახებ, ომს ისინიც აიცილებდნენ. დღეს კი ვხედავთ ოკუპანტი რუსეთის მიერ განადგურებულ უკრაინას, რომლის პრეზიდენტიც ნაცვლად იმისა, რომ საკუთარ ხალხს სიმართლე უთხრას, ჩვენთვისაც კი იცლის და საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს.**

**საბოლოოდ, ყველაფერი ცხადი ხდება. ჩვენ ვამბობდით, რომ საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა სურდათ. ჩვენს მხილებას უარყოფდნენ, თუმცა, პოლიტიკური ლიდერები თავადვე მოუწოდებდნენ ქართველებს, იარაღი აეღოთ ხელში. დღეს ყველასათვის ნათელია, რომ ისინი, ვინც საზოგადოებას წაუკითხავი კანონი გააპროტესტებინეს, ქვეყანას ომში ექაჩებოდნენ. რუსულად მონათლეს კანონი, რომელიც საზოგადოებას მეტის ცოდნის საშუალებას აძლევდა. გავა დრო და საბოლოო შეფასებასა და დასკვნას მაინც საზოგადოება გააკეთებს. ეს დასკვნა საქართველოში იქნება ადეკვატური, უკრაინაში კი – მკაცრი“,** – წერს დიმიტრი ხუნდაძე.



## ბექა ოდიშარია: პრეზიდენტყოფილის ლახვარი ზურგში!



**...ეჭვი შემპარავს იმაში, რომ კოალიცია მისი დაარსებულია და დეკლარაცია მისი დაწერილია. აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის დოკუმენტში პირდაპირ არის მითითებული, რომ გარკვეული თანხა უნდა ყოფილიყო გადახდილი იმაში, რომ გიორგი მარგველაშვილს ჩამოეყალიბებინა კოალიცია და ამის დისტრიბუცია მომხდარიყო. 12 ათასი დოლარი ვინ და რა დროს აიღო, ამის მტკიცების საფუძველი არ მაქვს და უდანაშაულობის პრეზუმფციით რომ ვიხელმძღვანელო, მექრთამეობაში მარგველაშვილს არ დავადანაშაულებდი. ის მექრთამეობაში არავის დაუდანაშაულებია, თუმცა, რატომ მექრთამეობა? ვერავინ დაიჯერებს, რომ მარგველაშვილი საქმის კურსში არ იყო და ამ ბინძური კამპანიის მონაწილე ისე გახდა.**

**მარგველაშვილი დადასტურებულად მონაწილეა სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულებაში, რაც დაფინანსებული იყო სააკაშვილის ოჯახის მიერ და მიმართული იყო, რომ დასანქცირებულიყო ქვეყანა და არა – ხელისუფლება. მათ ხერხად გამოიყენეს სააკაშვილის მდგომარეობა, რომელიც თვითდაზიანების რეჟიმშია და ამას საზოგადოება ხედავს. ეს ადამიანი ორპალატიან ლუქსშია და ყველანაირი მკურნალობა უტარდება, ინსინუაციებს კი წერტილი დაუსვა სტრასბურგის სასამართლომ.**

**როგორც წარსულში ისტორიულად, ასევე აწმყოში, გარე და შიდა გამცემი მტერი გვყავს და უამრავი ადამიანია, ვინც საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგისთვის მზად არის, თავის ქვეყანას ლახვარი ჩასცეს ზურგში. ამის ვაჟკაცობაც არ ჰყოფნით და ვერც ვერასოდეს ეყოფათ. როგორ შეიძლება, პასუხი გასცე იმას, როცა საკუთარ ქვეყანას მტრობ? წარმოუდგენელი ამბავია, რომ ყოფილი პრეზიდენტი მეორე ყოფილ პრეზიდენტს იცავდეს დაფინანსებული, მაოხარი, ქვეყნის წინააღმდეგ წარმოებული კამპანიის ფარგლებში და ქვეყანა დამნაშავე გამოჰყავდეს, ხოლო საკუთარი თავი – ჰუმანისტი. ეს უფრო ნაკლები მორალური დანაშაულია, ვიდრე მექრთამეობა? ჩემი აზრით, დიდი დანაშაულია, როცა გააზრებულად ხარ ქვეყნის წინააღმდეგ წარმოებული კამპანიის მონაწილე...** – განაცხადა ბექა ოდიშარიამ.




# მხოლოდ გონივრული თამაში გადაგვარჩენს!

**„თავხედი", „უტიფარი", „უცოდინარი", „ყველაფრის მკადრებელი", „ცეკას მეორე მდივანი ვაშინგტონის კრემლიდან", „არაკვალიფიციური", „შეუმდგარი დიპლომატი", „მისიაჩავარდნილი აგენტ-ოფიცერი"...**

– ეს იმ ეპითეტების არასრული ჩამონათვალია, რომლითაც აშშ-ის ელჩს, ქალბატონ კელი დეგნანს მოიხსენიებს „მადლიერი" ქართველი ხალხი. ის ქართველი ხალხი, რომელიც გაბანკროტებულ სპეცაგენტ-დიპლომატს ბიოლოგიური ზიზღით სძულს და ეტყობა თავის თავთან ფიცი აქვს დადებული, რომ სიცოცხლის ბოლომდე ყველგან უმტროს, სადაც ამის საშუალება მიეცემა. ისევე უმტროს, როგორც ამას აკეთებენ მისი წინამორბედები: **ბილ კორტნი, კენეტ იალოვიცი, რიჩარდ მაილსი, ჯონ ტეფტი, იან კელი** (მიკვირს, 26 მაისის სასტიკი სადამსჯელო ოპერაციის ავტორი, **ჯონ ბასი** რატომ აკლდება ხოლმე ამ კამპანიას).

**„FARA-ს ანგარიშებს არ გავცნობივარო"(?!)** – „ნაგლი" ნახე, რა(!)... მამაცხონებულო, აბა, მარტო ხაზეიშვილისა და წითლიძის „ნაშრომებს" ეცნობი? რომ ჰკითხო, **ამას არც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები ექნება წაკითხული...** როგორ გინდა თქვა, ამ „გულუბრყვილო" პასუხის ავტორს ზემოჩამოთვლილი ეპითეტებიდან რომელიმე ერთი მაინც არ მიესადაგებაო? – **ყველა ერთად და თითოეული ცალ-ცალკე(!).**

ოფიცერი დეგნანი იქით იყოს და... FARA-ს ანგარიშებმა ზემოთ მოხსენიებული **ელჩების მიერ კრიმინალ სააკაშვილთან დაკავშირებით** რამდენიმე დღის წინ **გაკეთებულ განცხადებასთან** მიმაბრუნა და სხვა თვალით დამანახა. აღნიშნული წარმოადგენს მკაფიო მტკიცებულებას იმისა, თუ როგორ მუშაობს „გიულის ლობისტური კანტორა". სადღაც, მთებში, ერთკაციან სოფელში დარჩენილმა იმ ერთმა კაცმაც იცის, რომ ანტიქართული პოლიტიკური პროცესი **ერთი ცენტრიდან იმართება,** ამ ცენტრის სახელია **გლობალური ომის პარტია** და უსამშობლო ბოროტი შვილის ბოროტი დედა მხოლოდ ბრმა შემსრულებელია, ისევე როგორც მოქმედი და ყოფილი ელჩები, როგორც უკრაინის ე.წ. ხელისუფლება, როგორც ევროპარლამენტარები, როგორც პოლონელი „ექიმები" და ა.შ.

**უნებლიეთ, გაგახსენდება ჰენრი კისინჯერის სიტყვები** – „ჩვენ, ამერიკელებს, გვჯერა, რომ ჩვენი შეხედულებები წარმატებულია არა იმიტომ, რომ საკუთარ თავს საუკეთესოდ ვთვლით, არამედ იმიტომ, რომ უგრალოდ, ჩვენი ხედვა, როგორიც არ უნდა იყოს ის, ყველა შემთხვევაში უნდა დომინირებდეს."

**ამგვარი დამოკიდებულებით შთაგონებული პოლიტმამები, ბუნებრივია, ვერ შეეგუებიან სახელმწიფო ინტერესით ნაკარნახევ ჩვენს შიდა გადაწყვეტილებებს და ბოლომდე იბრძოლებენ იმისათვის, რომ სამი ათეული წლის წინ დასახული ამოცანები რეალობად აქციონ -** საქართველოში უნდა დამყარდეს კოლონიური რეჟიმი, „თავისი ნაძირალების" მმართველობით, **რაც იქნება იმის გარანტი, რომ** ეს პატარა ქვეყანა ხან დერეფნად იყოს გამოყენებული, ხან პოლიგონად, **ხოლო მეორეხარისხოვანი** ქართველი ხალხი – ხან მომსახურე პერსონალად, ხანაც საზარბაზნე ხორცად.

ელჩების განცხადებაში, მუქარის ტონით, საუბარია **სანქციებზეც, მაგნიტსკის აქტზეც, „აშშ-ისა და საქართველოს მთავრობებს შორის სხვა სახის თანამშრომლობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებაზეც"** და **„საქართველოს ევროკავშირსა და NATO-ში გაწევრების პერსპექტივების გადახედვის ალბათობაზეც".**

მოკლედ, მთელი ბუკეტია იმ გეგმებისა, რაც უხვად დაფინანსებულ ლობისტებს განესაზღვრათ „დამქირავებლის" მხრიდან. ამას თუ დავუმატებთ FARA-ს დოკუმენტებში მოხსენიებულ **საელჩოსა და ელჩის** ჩართვის აუცილებლობას „სააკაშვილის მიმართ არასათანადო მოპყრობის აღსაკვეთად", **ენტონი ბლინკენის(!)** მიერ მოსამართლეების უსაფუძვლო, ყოვლად უსამართლო დასანქცირებას, **პრეზიდენტადწოდებულ ზურაბიშვილის** უპრინციპობით ბოროტად სარგებლობას **(უკრაინის „ხელისუფლებაზე", პოლონელ „ექიმებსა" და ევროპარლამენტარებზე** უკვე ითქვა)...




**ხედავთ, რა ხდება, ხალხო?.. გამოხტება ახლა ვინმე „ლიბერალი" და იტყვის, დამთხვევაა ეს ყველაფერიო.**

ჩემს წერილებში ამერიკული „მიდგომების" დასახასიათებლად ბევრჯერ გამოვიყენე მარტივი ანალოგი მგლისა და კრავის იგავთან – რა ქნას მგელმა, როცა ძალიან უნდა კრავის გადასანსვლა?.. ქვევიდან ზევით წყლის ამღვრევის არ იყოს, პატივცემულმა ელჩებმა, იგავის მგელზე ნაკლების დედა არ ვატირეთო და უგენიალურესი არგუმენტი მოიფიქრეს – **„მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა სააკაშვილის მოთხოვნა** (მიმდინარე წლის მაისში – **ბ.დ.**), გასული წლის დეკემბერში **სასამართლო სამედიცინო ექსპერტებმა ხაზგასმით აღნიშნეს სააკაშვილისთვის, საქართველოში ამ ეტაპისთვის მიუწვდომელი მკურნალობის გადაუდებელი აუცილებლობაო",** ამიტომ ისე მოიქეცით, როგორც ჩვენ „გირჩევთ", თორემ ცულს მოვიტანთ ცუნცულასაო... ანუ, სანქციებსაც და კიდევ ბევრ სხვა რამესაცაო.

ვიცი, თვალებს არ უჯერებთ, მაგრამ ზუსტად ასეა ახსნილი – მიუხედავად იმისა, რომ **მაისის თვეში** ამ საქმეში **ყველაზე მაღალმა ინსტანციამ დაადგინა, რომ პატიმარს სათანადოდ ეპყრობიანო,** ანუ ტყუილი და სიმულაციაა ყველაფერი, რასაც მისი დამცველები კიჟინებენო, **მოსყიდული ექსპერტები რომ წერდნენ დასკვნებს** შარშან დეკემბერში, **ის არის მთავარიო.**

**ეს ყველაფერი იმ ამბავს ჰგავს, ცხონებული ნუგზარ ჯუღელი რომ იტყოდა, „გინდა ახტი, გინდა დახტი, ტკაჩენკო მაინც ტკაჩენკოაო". მაგრამ ისიც ბევრჯერ გვინახავს ტკაჩენკოებზე და ანდრეევებზე ბევრად ტანმორჩილი ჩვენი ბიჭები, გონივრული თამაშის წყალობით, როგორ სჭედდნენ დიდ გამარჯვებებს(!).**

**ბიძინა დვალი.**
23.07.2023 წ.

# ვირეშმაკები პოზიციაშიც და ოპოზიციაშიც!

**მიუხედავად იმისა, რომ 2024 წლის არჩევნებამდე ჯერ კიდევ საკმაო დრო დარჩა, შეიძლება ითქვას, რომ ბოლო არჩევნების შემდეგ ამ რეჟიმიდან არც გამოვსულვართ.**

**მოსახლეობას რომელსაც სააკაშვილის ფიზიოლოგიურ მასალაზე ფიქრს, ვიღაც კორუმპირებული ევროპარლამენტარების „შეშფოთებულ კომენტარ-რეზოლუციებზე" ღელვას, ოპოზიციისა და მათი გამხმოვანებლების მიერ დახატული აპოკალიფსით შიშის ქვეშ ცხოვრებას, აშკარად ურჩევნია ყოფა, ცხოვრება, წინსვლა, მშვიდობა და განვითარება.**

ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ურთიერთობა დიდი ხანია გასცდა პოლიტიკურ დაპირისპირებას და ეს დაპირისპირება თამამად შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ქვეყნის განვითარებასა და რევანშისტებს, როგორც მშვიდობასა და უზარმაზარ ტრაგედიას, როგორც სიმართლესა და ტყუილს შორის ომი რომლის პოლიგონად ქართული მედია-სივრცე გადაიქცა. დიახ, ყოველგვარი პათეტიკის გარეშე ვიტყვით, რომ მიმდინარეობს საინფორმაციო და ინტელექტუალური ომი, რომელსაც ჯერჯერობით ხელისუფლება აგებს. არ დავიწყებ იმაზე საუბარს, რომ ხელისუფლების მხარდამჭერი ორ მედიას („პოსტვ" და „იმედი") უპირისპირდება სამი ძლიერი მედიასაშუალება (ტვ პირველი, მთავარი და ფორმულა). არც იმაზე ვიტყვი არაფერს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება, ფაქტობრივად განყენებულ სუბიექტს წარმოადგენს და იქ ცხოვრება, ჩემი აზრით, „ზასტოის" პერიოდში გაიყინა.

ისიც არახალია, რომ ელექტრონულ მედიაში ოპოზიცია ლიდერობს და იმ რამდენიმე ინტერნეტ-გამოცემას, რომლებიც სიმართლეს წერენ, მხოლოდ ხელისუფლების მხარდამჭერი მცირე რაოდენობის მომხმარებელი ჰყავს. ბეჭდური მედია, რომელიც გათვლილია ინტელექტუალურ მომხმარებელზე და მათ ხელთ არსებული მწირი ინფორმაციის მიუხედავად (ამ ინფორმაციას არა „პირველი ხელიდან", არამედ ინტერნეტ-გამოცემების მეშვეობით იღებენ) ფაქტობრივად გერის როლშია. მგონი სრულიად ზედმეტია იმის თქმაც, რომ ე.წ. სახელისუფლებო მედიის ჟურნალისტების უმრავლესობა დიდი სიამოვნებით წავიდოდა ე.წ. კრიტიკულ მედიაში. ერთის შეხედვით, ძალიან უცნაური ვითარებაა. არადა, პასუხი საკმაოდ მარტივია: ოპო-მედიის პოლიტიკურ შოუებში მოწვეული სტუმრები მაქსიმალური სპექტრით არიან წარმოდგენილნი, პარლამენტის წევრებიდან დაწყებული, პოლიტიკური ლიდერებით გაგრძელებული და რიგითი აქტივისტებით დამთავრებულნი, მაშინ როცა „სახელისუფლებო მედიის" მსგავს შოუებს (რომლებიც რაოდენობის მხრივაც საკმაოდ მცირეა) მხოლოდ მმართველი პოლიტიკური ძალის ლიდერები სტუმრობენ. იშვიათად, რომ ვინმე ყოფილი პოლიტიკოსი გამოერიოს და ისინიც შესაბამის თემასთან დაკავშირებით. მაგალითად, სააკაშვილის მიერ დარბეული აქციები, ან მისი რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაულები. ეს ყოფილი პოლიტიკოსებიც ფაქტობრივად ერთი და იგივე ხალხია, ხოლო წამყვანები მიჰყვებიან გაწერილ გეგმას და თუ შემთხვევით სტუმარმა სათქმელი სხვა სიტყვათა წყობით თქვა, წამყვანი სწრაფად „გამოასწორებს" სიტუაციას და იმას იტყვის, რაც წინასწარ აქვს დაგეგმილი (ეს ძალიან ადვილი შესამჩნევია).




იხ. 5 გვ.

**საბედნიეროდ, მშვიდობაა საქართველოში. სწორედ მშვიდობის დამსახურებაა ის, რომ, ოფიციალური ინფორმაციით, ქვეყანაში ეკონომიკური აღმავლობა შეინიშნება. ამას ადასტურებს სტატისტიკური მონაცემებიც, თუმცა ეს საქართველოს მოსახლეობას დამშვიდების საშუალებას არ აძლევს, რადგანაც ეკონომიკური წინსვლა ჩვენს სოციალურ ყოფაზე არც ასახულა!**

**ამ თემებზე უფრო კონკრეტულად სასაუბროდ შევხვდით ეკონომიკის ექსპერტს, პროფესორს, ეკონომიკის დოქტორს სოსო არჩვაძეს.**



# საქართველოს ეკონომიკა იზრდება, მაგრამ ჯერ 1988 წლის დონესთან შესაბამისობაშიც ვერ მოდის!

# არ გაგიკვირდეთ და... სამომხმარებლო ფასები საკმაოდ დაბალ დონეზე შენარჩუნდება

**– ბატონო სოსო, მოდით, ოფიციალურ მონაცემებს დავეყრდნოთ და განვიხილოთ, რა ეკონომიკური მონაცემებით დასრულდა გასული თვე – ექსპორტი გასული წლის ივნისთან შედარებით გაზრდილა 22.5 პროცენტით, რამაც 549.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. იმპორტი ივნისში გაზრდილა 10 პროცენტით... მთლიანად ივნისში საქართველოს საგარეო-სავაჭრო ბრუნვამ 1765.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 13.6 პროცენტით აღემატება; ეროვნული ვალუტის გამყარების ტემპი 1.5-ჯერ უსწრებს იმავე პერიოდში ეროვნული პროდუქტის რეალური ზრდის ტემპს, რაც საგრძნობლად აძვირებს სამამულო პროდუქციას მსოფლიო ბაზარზე.**

**უნდა ვთქვათ, რომ სანუგეშო მონაცემებია, მაგრამ რატომ არ აისახება ყოველივე ეს მოსახლეობის კეთილდღეობაზე?**

– თქვენ საუბრობთ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით და შემიძლია გითხრათ, რომ სტატისტიკა არ ტყუის, თუმცა საზოგადოებრივი განწყობა და მოლოდინები სულ სხვაა. საქართველოს ეკონომიკა იზრდება და ვითარდება, თუმცა მისი მასშტაბები, თუ ჯაჭვური ინდექსებით დავთვლით, პიკური 1988 წლის დონისთვის შესაბამისობაში ვერ მოდის.

90-იან წლებში განვითარებული მოვლენები ყველას გვახსოვს და მოხდა ის, რომ საქართველო აღმოჩნდა ყველაზე მძიმედ დაზარალებული ქვეყანა მთელ პოსტსაბჭოთა და პოსტსოციალისტურ ქვეყნებს შორის.

ამჟამად ჩვენ გვყავს ყოველ 1000 ადამიანზე 180-ით ნაკლები დაქირავებული დასაქმებული, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფოს ნაკლები შემოსავალი აქვს – დასაქმებული პირის, ვთქვათ, 1000 ლარის შემოსავლის შემთხვევაში, როცა ის საშემოსავლო გადასახადს იხდის, მხოლოდ იმ 200 ლარის აკუმულირების ხარჯზე აქვს სახელმწიფოს საშუალება გადაანაწილოს და დაეხმაროს შრომისუუნაროებს, მოხუცებს და ა.შ.

ჩვენ თუ გვინდა მოსახლეობის კეთილდღეობა გავზარდოთ, უნდა გავზარდოთ დასაქმების მაჩვენებელი.

ამ მიმართულებით სახელმწიფო მუშაობს, მაგრამ ის არ არის ილუზიონისტი, მისი უშუალო მოვალეობა არ გახლავთ სამუშაო ადგილების შექმნა. სახელმწიფოს მოვალეობაა შექმნას პირობები ინვესტორისთვის, ბიზნესმენისთვის, საქმიანი ადამიანისთვის და დააინტერესოს ისინი ინვესტიციის განსახორციელებლად.

უკვე 5-6 წელიწადია მიმდინარეობს საუბრები ე.წ. ესპანურ მოდელზე, რაც ნიშნავს, რომ, სანამ მწარმოებელი აფართოებს წარმოებას, ის მოგების გადასახადს არ იხდის. ამ მოდელის შესაბამისად, თავდაპირველად, კი შემცირდა მოგების გადასახადი ბიუჯეტში, მაგრამ ეს პროცესი თანდათანობით სიჩქარეს იკრებს, იქმნება ახალი სამუშაო ადგილები და ნელ-ნელა უმჯობესდება მდგომარეობა. ბევრი რამ კეთდება აგრარულ სექტორშიც, მაგრამ ისეთი მძიმე ვითარებიდან გვიწევს სირთულეების დაძლევა, რომ ყოველივე ეს, დროს მოითხოვს და თუ თვალს გადავავლებთ 5-10 ანდა 20 წლის წინანდელ მდგომარეობას, უკეთესობა არის. აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოსახლეობის კეთილდღეობა განისაზღვრება არა ინდივიდუალური შემოსავლებით, არამედ, სოციალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით, როდესაც მოქალაქე კომფორტული ტრანსპორტით მგზავრობს, როცა გზები მოწესრიგებულია, უკეთესი მდგომარეობაა სამედიცინო სფეროში და ა.შ. თორემ იმის თქმა, რატომ არ ვართ დღეს ევროპის ქვეყნების დონეზეო, ცოტა უხერხულია.

**– ბატონო სოსო, საბაზრო ეკონომიკას ჩვენ მხარი ვერ ავუბით და პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ყველაზე ცუდ მდგომარეობაში, როგორც თქვენ თქვით, ამიტომაც აღმოვჩნდით?**

– ეკონომიკის განვითარება განისაზღვრება იმით, თუ რა რაოდენობის მატერიალური დოვლათის წარმოებაა არის შესაძლებელი ერთ სულ მოსახლეზე. 1990-იან წლებში საქართველოში ეს ინდექსი იყო დახლოებით 80% -ის დონეზე. სუბტროპიკული კულტურების წარმოების გამო საქართველოს ჰქონდა შესაძლებლობა აბსოლუტური რენტის დიდი ნაწილი და დიფერენციალური რენტის მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოში დარჩენილიყო და მაშინდელი ფორთოხლის, მანდარინის და სხვა ციტრუსის დიდი ნაწილის რუსეთის ბაზრებზე რეალიზაციით მოსახლეობას მიეღო დიდი შემოსავლები. მაგალითად, 1 კგ მანდარინის ფასად შეგეძლო გეყიდა 2-2,5 ლიტრი ბენზინი. ახლა ეს მონაცემები 6-ჯერ და 8-ჯერ არის შეცვლილი.



დღეს, მაშინდელთან შედარებით, ერთ სულ მოსახლეზე გაზრდილია მთლიანი ეროვნული პროდუქტის მოცულობა. მოსახლეობა დაახლოებით 1/3 არის შემცირებული, ხოლო ვინც ქმნის დოვლათს, მათ შორის განაწილება არის საკმაოდ ასიმეტრიული, ანუ ახლანდელი მდიდრები მაშინდელ მდიდრებზე უფრო მდიდრები არიან და ახლანდელი ღარიბები მაშინდელ ღარიბებზე უფრო ღარიბები. ეს არის ძირითადი ფონი, რაც ქმნის მოსახლეობის დიდი ნაწილის უკმაყოფილებას.

**– რა პროპორციებია, ექსპორტის იმპორთან დამოკიდებულებაში?**

– ყოველი 100 დოლარის იმპორტიდან მხოლოდ 45-46 დოლარის ექსპორტს ვახორციელებთ. რაც ნიშნავს, რომ ქვეყნიდან გადის საკმაოდ დიდი რაოდენობის თანხა, რის პარალელურადაც შემოდის გზავნილები, განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციიდან, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთთან ჩვენ საკმაოდ უარყოფითი სავაჭრო სალდო გაგვაჩნია, ეს თანხა ისევ რუსეთში გაიწოვება.

ჩვენ დამოკიდებული ვართ ენერგორესურსების იმპორტზე. მაგალითად, შარშან 2 მლრდ დოლარამდე ენერგორესურსის იმპორტი განვახორციელეთ, იგივე მდგომარეობაა სასურსათო პროდუქციასთან დაკავშირებით.

**– საქართველო ტურისტული ქვეყანააო, წელს, მგონი, ტურისტების რეკორდული რაოდენობაა საქართველოში, რუსი და უკრაინელი მოქალაქეების მასიურმა შემოსვლამ როგორ იმოქმედა ქართულ ეკონომიკაზე?**

– ტურიზმი არ არის მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქის შემოსვლა ქვეყანაში. ეს ითვალისწინებს, დაახლოებით, 14-მდე სხვადასხვა სფეროს საქმიანობას – ტრანსპორტს, კაფე-რესტორნებს, მომსახურებას, რელაქსაციას, შთაბეჭდილებების მიღებას, ექსკურსიამძღოლებს და ა.შ. ტურიზმს ჯაჭვური რეაქცია აქვს ეკონომიკის ბევრ დარგზე, მაგრამ მთლიანობაში რომ ავიღოთ, ტურისტული ინდუსტრია და მისი განვითარება მასშტაბებით და ის ეფექტი, რაც მან უნდა მოუტანოს ადგილობრივ ეკონომიკას, დამოკიდებულია ეკონომიკის ძირითად სფეროზე.

მაგალითად, აშშ-ში, ერთსა და იმავე დროს, ერთი ტურისტი თუ ხარჯავს საშუალოდ 1000 დოლარს, ის საქართველოში ხარჯავს 3-ჯერ ნაკლებს, რადგან იქ იმ მექანიზმით არის განვითარებული ეკონომიკა, რომ ამერიკაში ჩასულმა ტურისტმა ჯიბეში უფრო ღრმად ჩაიყოს ხელი, რასაც შედარებით დაბალგანვითარებულ ქვეყანაში ვერ გააკეთებს. ამიტომ თუ გვინდა, ტურისტული ინდუსტრია იყოს წარმატებული, ხელი უნდა შევუწყოთ ეკონომიკის ძირითადი დარგების განვითარებას. რაც შეეხება ტექნიკური ფაქტორის მონაწილეობას, საქართველოში უცხოელი ტურისტების შემოსვლა განაპირობებს დამატებით მოთხოვნას დოვლათზე, ტრანსპორტზე, საცხოვრისზე, ეს უზრუნველყოფს მიწოდების სტიმულირებასაც.

შარშან, ქვეყანაში ორნიშნა ეკონომიკური ზრდა აღინიშნებოდა და რომ არა რუსეთიდან შემოსული ტურისტები და დევნილი მოსახლეობა, საქართველოს ეკონომიკის ზრდა 2-ნიშნა არ იქნებოდა!

**– ლარი დოლართან მიმართებაში, ისევ მყარდება, ეს კარგია თავისთავად, მაგრამ რა ქნან თუნდაც ჩვენმა შრომითმა ემიგრანტებმა, რომელთა გზავნილებს საქართველოში ადრინდელთან შედარებით სულ უფრო ეკარგება ფასი?**

– როცა ეროვნული ვალუტა მყარდება, მეტ სარგებელს ნახულობენ ის ადამიანები, რომლებსაც შემოსავალი ლარებში აქვთ, მაგრამ, როგორც თქვენ თქვით, არის მრავალრიცხოვანი არმია შრომითი ემიგრანტებისა, რომლებიც ეროვნული ვალუტის მსყიდველობითუნარიანობით უკმაყოფილონი არიან. როცა ლარის გამყარება ეკონომიკის რეალური სექტორის ზრდის პარალელურად ხდება, ეს სახარბიელო პროცესია, მაგრამ უარყოფითი და დადებითი მხარეები ყველაფერს აქვს – მეტისმეტი გამყარება ხელს უშლის ჩვენს ექსპორტს, მის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე. პირობითად, თუ დოლარი იყო 3 ლარი და გახდა 2, ეს ნიშნავს, რომ 3-ლარიანი პროდუქცია 1 დოლარად უნდა გაგვეყიდა, ახლა უნდა გავყიდოთ დოლარნახევრად, მაგრამ ეკონომიკის წესია, რაც უფრო ძვირია პროდუქცია, მით უფრო ნაკლები მყიდველი ჰყავს მას. ერთ-ერთი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ბოლო 9 წლის მანძილზე ადგილობრივი ექსპორტის შემცირება შეინიშნება და ამას ორი მიზეზი აქვს. ერთი – ეროვნული ვალუტის გამყარება და მეორე – ჩვენი საექსპორტო პროდუქციისთვის მსოფლიო ბაზარზე ფასების დაცემა.

**– ლარი კი გამყარდა, მაგრამ ფასები იგივე დარჩა, საკვების, პირველადი მოხმარების საქონლის ფასები იგივე დარჩა, საწვავის ფასი მსოფლიო ბაზარზე თუ მერყეობს, საქართველოში სტაბილურად იზრდება. რატომ ხდება ეს?**

– იმის თქმა, რომ კორელაქციაში არ არის შიდა ბაზრის ფასები მსოფლიო ბაზრის ფასებთან, არ იქნება სწორი, თუმცა რეალიზატორები ყოველთვის იტოვებენ, ე.წ. უსაფრთხოების ბალიშებს და ფასებს ისე არეგულირებენ, რომ არ დაზარალდნენ თავად.

**– ფასების რეგულაციის კონტროლი არც ერთ დონეზე არ ხდება?**

– ანტიმონოპოლიური რეგულირების აუცილებლობა მაშინ ხდება, როცა განსაკუთრებული მდგომარეობაა ქვეყანაში. ახლა შეუძლებელია დირექტიული წესებით ფასების დარეგულირება. ეს დამთავრდა საბჭოთა პერიოდში, როცა ტალინიდან ვლადივოსტოკამდე ერთი და იგივე ფასად იყიდებოდა პროდუქცია, მაგრამ საბაზრო ეკონომიკის პირობებში არც ამის აუცილებლობა არის და შეუძლებელიც გახლავთ, რომ ფასები იყოს განსაზღვრული, უბრალოდ, პირობების შექმნაზეა საუბარი, რომ მეწარმემ ბოროტად არ ისარგებლოს.

**– მაგრამ, ვთქვათ, მეწარმე აწარმოებს საწერ პასტას, თუკი მეორეც აწარმოებს, ერთს შეუძლია 5 ლარად გაყიდოს, მეორემ, ვთქვათ, 30 ლარად? ეს რანაირი კონკურენციაა?**

– მაგრამ რატომ უნდა იყიდოთ 30-ლარიანი, თუკი არსებობს 5-ლარიანი?

ვინც კრეატიული მწარმოებელია, მან კარგად იცის, რომ უნდა ნახოს მოგება არა ფასების მაქსიმიზაციით, არამედ ბრუნვის საფუძველზე მთლიანი შემოსავლების მიხედვით. მან უნდა შეძლოს, იმ ფასად გაყიდოს პროდუქცია, რომ მაქსიმალური შემოსავალი მიიღოს. რაოდენობისა და ფასის კომბინაცია ისე უნდა მოარგოს ერთმანეთს, რომ მაქსიმალური სარგებელი მიიღოს.

**– ეკონომიკაში ზუსტი პროგნოზების გაკეთება თითქმის შეუძლებელია, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ: რა პროგნოზები გაქვთ წლის ბოლომდე, რა მოლოდინებით უნდა უყუროს მოსახლეობამ 2024 წლამდე დარჩენილ პერიოდს?**

– გეთანხმებით, პროგნოზირება ძნელია, მაგრამ თუ მოვახდენთ სიტუაციის, ვითარების განვრცობას, შემიძლია გითხრათ, რომ ფასები საკმაოდ დაბალ დონეზე იქნება შენარჩუნებული. ეს არ ნიშნავს, რომ ფასები შემცირდება, ფასებმა ისეთ დონეს მიაღწიეს უკვე, რომ ზრდის ეკონომიკური საფუძველი აღარ არსებობს. ახლანდელი ფასები 10 თვის წინანდელ დონეზეა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მცირეა ფასები, პირიქით, ადრეც მაღალი იყო და ახლაც ასეა, თუმცა ზრდის ტენდენციას არ ველოდები.

რადგან იზრდება ეკონომიკა, წლის მეორე ნახევარში გვექნება იმაზე არანაკლები თუ მეტი არა, ეკონომიკური აღმავლობა, რაც უკავშირდება მოსახლეობის შემოსავლების და დასაქმების რაოდენობის ამაღლებას, ხელფასის ზრდა გადაუსწრებს ფასების ზრდას. ეს კი გაზრდის იმ ადამიანების ცხოვრების დონეს, რომლებიც დასაქმებულნი არიან. ამიტომ სახელმწიფომ უნდა გამოიჩინოს განსაკუთრებული ზრუნვა დაუსაქმებელი ადამიანების მიმართ, სპეციალური პროგრამების შემუშავებით, სამუშაო ადგილების შექმნისთვის ხელშეწყობით და ა.შ.

მე ვერ მოგცემთ იმის გარანტიას, რომ მოსახლეობის დაუსაქმებელი 35-40% წლეულსვე დასაქმდება, მაგრამ არის შანსი, რომ მათ უახლოეს დროში სტაბილური შემოსავლის წყაროები გაუჩნდეთ.

ესაუბრა
**ირანდა კალანდაძე**



**გიორგი ვაშაძე ორიოდე წლის წინ სააკაშვილის ადგილს ვერ ხედავდა ქართულ პოლიტიკაში, სამაგიეროდ, სააკაშვილი ხედავს ვაშაძის ადგილს „ნაციონალებთან“ და ლევან ხაბეიშვილთან ერთად და ვაშაძე-ხაბეიშვილის გაერთიანებაც სწორედ სააკაშვილის ხელდასხმით მოხდა.**



## რამაზ საყვარელიძე:

# აღმაშენებელს ნახევარი აზია დაპყრობილი ჰქონდა, ამ ადამიანების სტრატეგიული აზროვნება კი იმის იქით არ მიდის, ბიძინა გადააგდონ თუ არა!

**სააკაშვილმა დიდსულოვნად აპატია ვაშაძეს ღალატი, აპატია ისიც, რომ პოროშენკომ როცა პრაქტიკულად კინაღამ ფიზიკურად გაანადგურა სააკაშვილი და სერიოზულად დაამცირა, გიორგი ვაშაძემ ზუსტად ეს არასწორი დრო შეარჩია, მივიდა პოროშენკოსთან და მისი საარჩევნო კამპანიის ერთ- ერთი მთავარი სტრატეგი გახდა.**

გიორგი ვაშაძემ მეორედაც უღალატა სააკაშვილს, როცა, მიშას სიტყვებით რომ ვთქვათ, ბნელ მხარეს, ანუ ივანიშვილის მხარეს გადავიდა, არადა, სააკაშვილი მასზე იმედს ამყარებდა.

მესამე ღალატი არ შემდგარა. დღეს გიორგი ვაშაძემ თავისი ადგილი მონახა „მზის“, ანუ სააკაშვილის ქვეშ და არც მალავს, რომ სააკაშვილთან წერილობით კონსულტაციებშია. გამორიცხული არ არის, ახდეს **ირაკლი ზარქუას** „შიშები“, სააკაშვილმა ხაზე ჩააჩოჩოს და კიდევ მეტი სტრატეგია ააგოს „აღმაშენებლობის“ პრეტენზიის მქონე კაცზე, გიორგი ვაშაძეზე, რომელსაც თურმე სიტყვა ეთქმის უკრაინაშიც და რომლის იუსტიციის სახლებიც მსოფლიოს მერვე საოცრებაა.

**„ორი ლუზერის“ გაერთიანებით არაფერი შეიცვლება“,** – ასეთნაირად ეხმიანება **კახა კალაძე** ვაშაძის და ხაზეიშვილის გაერთიანებას. თითქმის მთელი ოპოზიციური სპექტრი ემიჯნება ვაშაძეს და არ პატიობს მას „ნაციონალებთან“ დაბრუნებას. ამის მიუხედავად, ერთმანეთის შემყურედ დარჩენილი ვაშაძე და ხაზეიშვილი გამარჯვების პლატფორმას აშენებენ **ივანიშვილის** დასამარცხებლად. რამდენად პერსპექტიულია „ნაცმოძრაობის“ სახელით და მის ქუდქვეშ ბიძინა ივანიშვილის დამარცხება?

* * *

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ, თავისთავად, ნიშანდობლივია, რომ „ნაცმოძრაობას“ მკაფიოდ ემიჯნება „ლელო“. ისედაც „ნაცმოძრაობასთან“ გაერთიანებისთვის გული გახსნილი არ ჰქონდათ „გირჩებს“, ანუ ორ ცალ „გირჩს“, არც „მოქალაქეს“. ამდენად, მეტი აღარავინ რჩება, ვინც „ნაცმოძრაობასთან“ ალიანსს ისურვებდა.

გახარიას რაც შეეხება, რომელიც 2024 წლის არჩევნებისთვის არც ერთ პარტიასთან, მათ შორის, არც „ნაცმოძრაობასთან“ გაერთიანებას არ აპირებს, რამაზ საყვარელიძე თვლის, რომ გახარიას პარტია გაუგებარ რამედ ჩამოყალიბდა, კაცი ვერ გაიგებს, რა უნდა, რა არ უნდა, შიგადაშიგ გაიღვიძებს, რაღაც ფრაზებს წამოისვრის და დადუმდება.

**„მთლიანობაში, ჩვენს ოპოზიციაში შემადგენლობის მხრივ ღარიბი და პოტენციურადაც ღარიბი პოლიტიკური ჯგუფები არიან, თითოეულ მათგანს ცოტა მხარდამჭერი ჰყავს. ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც ჰყავთ ცოტა მხარდამჭერი, არის მათი წამგებიანი ლოზუნგი - „გავერთიანდეთ ყველანი ბიძინას წინააღმდეგ“. კი ბატონო, ხაზეიშვილს და ოპოზიციონერებს უნდათ ბიძინას და მისი პარტიის გადაგდება, რადგან ის მათი კონკურენტია, მაგრამ პოლიტიკური პარტია ხალხს ეუბნებოდეს, ჩვენ ვერთიანდებით ბიძინას წინააღმდეგო, ნამეტნავად ღიმილის მომგვრელია. ხალხმა მოსთხოვა ამ ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიას, შენი ჭირიმე, ბიძინა გადააგდეო?! ყველა არჩევნებში ბიძინას უპირატესობა მტკიცდება, ოპოზიციონერები კი მაინც ერთსა და იმავეს ტრაბახობენ, ბიძინას გადავაგდებთო. არ უნდა ხალხს ამათი გადაგდებული ბიძინა. არც „ქართული ოცნება“ მოსწონთ, მაგრამ ამ ოპოზიციამ რომ გადააგდოს „ქართული ოცნება“ და მერე გამარჯვების მოტივით ხელისუფლებას მოეპოტინოს, ეს უკვე ხალხს არ აწყობს. ათი წლის განმავლობაში ქართველი საზოგადოება ამას ეუბნება გინდ არჩევნებით, გინდ სოციოლოგიური კვლევით ამ ჯგუფებს, ესენი მაინც ჯიუტად იმეორებენ, უნდა გადავაგდოთ ბიძინა, რაც ხალხის დაკვეთა არ არის“,** – აღნიშნა რამაზ საყვარელიძემ.

ანალიტიკოსი გიორგი ვაშაძესაც უწუნებს სტრატეგიას და ამბობს, რომ, საერთოდ, არასწორი იყო „სტრატეგია აღმაშენებლის“ დარქმევა. დავით აღმაშენებელს რომ აკადრო, ჩვენი სტრატეგია ბიძინა ივანიშვილის გადაგდებააო, არ იქნება ღიმილის მომგვრელი?! კაცს ნახევარი აზია დაპყრობილი ჰქონდა, დავით აღმაშენებლის სტრატეგიული აზროვნება გასაგები იყო, ამ ადამიანების სტრატეგიული აზროვნება კი იმის იქით არ მიდის, ბიძინა გადააგდონ თუ არ გადააგდონ.

**„სიტყვებს მაინც სცენ პატივი. ნაცვლად იმისა, ვაშაძემ თქვას, ჩემი სტრატეგიული მიზანი ქვეყნის შველა, ეკონომიკის გადარჩენააო, იძახის, ჩემი სტრატეგიული მიზანი ბიძინას გადაგდებააო. საქვეყნო მიზნები დაისახონ, ეს პირადი ჭიდაობა რისი მომტანია? სპორტული მიზნები აქვთ და არა პოლიტიკური... სპორტში მეტოქეს ებრძვი, პოლიტიკაში კი მეტოქეს შეიძლება ებრძოლო, მაგრამ წინა პლანზე მოდის ქვეყნისთვის ზრუნვა“,** – ამბობს რამაზ საყვარელიძე.

„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე **ნანა კაკაბაძე** მიიჩნევს, რომ „ნაცმოძრაობა“ საბოლოოდ მაშინ განულდა, როცა ხაზეიშვილი ჩაუდგა სათავეში. დღეს კი ხაზეიშვილის და გიორგი ვაშაძის გაერთიანება ნიშნავს, ნულს პლუს ნული უდრის ნულს.

**„რამდენი ნულიც არ უნდა მიემატოს „ნაცმოძრაობას“, წინ თუ მას რაიმე ციფრი არ აქვს, ნულების შეკრება არაფრის მომცემია. გიორგი ვაშაძე იმდენად ნულია, რა შეიძლება გამოაკლდეს მას? დღეს „ნაცმოძრაობასთან“ გაიგივებას არ ცდილობენ ის ოპოზიციური პარტიებიც კი, რომლებიც ფეთქავენ თავისი პროცენტებით და მაინც სიცოცხლის უნარიანობის ასოციაციას ქმნიან, რომ მკვდარ- ცოცხლები არიან. ვაშაძის პარტია კი არ ფეთქავს, მისი პარტია თუ მოძრაობა ცალსახად მკვდარია. პრემიერობას ჰპირდებიან? პრემიერობას კი არა, თუნდაც მეფობას შეჰპირდნენ, ჯერ გადახტნენ და ჰოპლა მერე დაიძახონ. სად გადამხტომები ეგენი არიან“,** – აცხადებს ნანა კაკაბაძე ჩვენთან საუბრისას.

**მანანა ნოზაძე**

# ვირეშმაკები პოზიციაშიც და ოპოზიციაშიც!

(მესამე გვერდიდან)

რაც შეეხება მმართველი ძალის წარმომადგენლებს, ბუნებრივია, რომ ისინი სრულ და ამომწურავ ინფორმაციას იძლევიან არსებული თემის გარშემო. მოჰყავთ სხვადასხვა ციფრები და მაგალითები, მაგრამ მაყურებლისთვის ეს ციფრები ფაქტობრივად არაფერს ნიშნავს. უხეშად რომ ვთქვა – მაყურებელს ეს არ აინტერესებს. მაყურებელს დამნაშავის მხილება ურჩევნია, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან მხილება, უკვე საწინააღმდეგო ეფექტს იწვევს. მაყურებელს უჩნდება ბუნებრივი შეკითხვა, დაახლოებით ისეთი, როგორსაც ფილმ „დარიკოში“ მოხუცი კაცი უსვამს ჟანდარმების უფროსს – თოფი თქვენ გაქვთ, ჩაფარი და ჯარი. მე ამ ჯოხით სად ვსდიო დარიკოს? ასევე, მაყურებელს ურჩევნია, რომ „ტელევიზორიდან“მისთვის გასაგებ ენაზე ელაპარაკონ, რასაც, ბუნებრივია, ხელისუფლების წარმომადგენლები ვერ გააკეთებენ (ცხადია, გინებას არ ვგულისხმობ).

**ოპომედიის წარმატება კი იმაშია, რომ ის ტყუილები, რასაც ავრცელებენ, ხმიანდება სხვადასხვა სოციუმის ადამიანებისგან. სახელისუფლებო მედიაში გახმიანებული სიმართლე კი მხოლოდ ერთი და იგივე ხალხისგან მოდის.**

**ოპომედიის პოლიტიკური გადაცემების სტუმრები სხვადასხვა „პოლიტიკური ძალების“ წარმომადგენლები არიან.**

„პოლიტიკური ძალები“ სპეციალურად ჩავსვი ბრჭყალებში, რადგან ყველამ კარგად ვიცით, თუ რა „ძალებსაც“ და რა „პოლიტიკასაც“ წარმოადგენენ, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში იქმნება აღქმა, რომ ოპოზიციურ სპექტრში უამრავი პოლიტიკური მიმართულებაა. ცხადია, ხელისუფლების კრიტიკის (და უფრო ხშირად ლანძღვის) პარალელურად ისმის მათი „დედა-პარტიის“ ნაციონალური მოძრაობის კრიტიკა. მათი პოლიტიკისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. ეგ კი არა და, ზოგიერთი „ლიდერი“ ნაცების პოლიტიკური სივრციდან გასვლასაც მოითხოვს, მაგრამ ეს ვირეშმაკობა ადვილი გასაგებია. მათ სურთ მოსახლეობის თვალში ჩამოირეცხონ ის ტალახი, რომელშიც ნაცებთან ყოფნის პერიოდში გაისვარნენ და ნაცებში განვითარებული მოვლენების გამო საკმაოდ დასუსტებული „მთავარი ოპოზიციური ძალის“ მხარდამჭერების ხმები თავიანთ ყულაბაში მოათავსონ.

ამ დროს ხელისუფლება ძალიან უცნაურად იქცევა. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ ველზე გამოჩნდნენ ისეთი სუბიექტები, რომლებიც თამამად ამბობენ იმას, რასაც ხელისუფლება გარკვეული პოლიტ-კორექტულობის გამო ვერ ამბობს, საზოგადოებას მათი სრული „დამოუკიდებლობის“ მაინც არ სჯერა და ისინი სახელისუფლებო გუნდის ნაწილად აღიქმებიან. ცხადია, მათგან არ ისმის ხელისუფლების კრიტიკა ისეთ თემებზეც კი, როგორიც მაგალითად ლგბტ პროპაგანდის აკრძალვის, ან სიცრუისა და ცილისწამების წინააღმდეგ აუცილებლად მისაღებ კანონებთან მიმართებაში ხელისუფლების პასიურობაა.

სწორედ ამიტომ, მათი სატელევიზიო გამოსვლები მაინც ისე აღიქმება, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებები, რაც, რბილად რომ ვთქვა, მაყურებელში თავისუებურ ემოციებს იწვევს.

ამ პრობლემიდან გამოსასვლელად ხელისუფლებას შეუძლია უფრო გახსნილად იმოქმედოს. არაპოლიტიკური სახეებისგან ჩამოაყალიბოს სპიკერების გუნდი, რომლებიც არა „დაუთოებული“ პოლიტიკური ფრაზებით, არამედ ნორმალური, ადამიანური სიტყვებით იტყვიან სათქმელს. ხელისუფლებას შეუძლია მათ გარკვეული ინფორმაციები მიაწოდონ გარკვეული ინფორმაციები, რომელსაც ისინი გაახმიანებენ. მაგალითად, ინფორმაცია უაღრესად მნიშვნელოვანი რაიმე პროგრამის შესახებ, ან „მისცხონ“ ჩვენს „დაუძინებელ მეგობრებს“, რაც მაყურებლისთვის გაცილებით უფრო მისაღები იქნება. სამწუხაროდ, ხელისუფლება ამას არ, ან ვერ აკეთებს და ბადებს ეჭვს, რომ სპიკერები, რომლებიც ტელეეთერების მეშვეობით გაახმიანებენ სათქმელს, ან არ ჰყავთ, ან არ ენდობიან.

ამ თემაზე უამრავი რამის თქმა შეიძლება და ეს მხოლოდ პოლიტიკურ თოკ-შოუებს არ ეხება.

**სახელისუფლებო მედია-სივრცეში, ფაქტობრივად, არ არსებობს ინტელექტუალური გადაცემები, რომლებიც ხელოვნების სხვადასხვა სფეროში არსებულ მდგომარეობაზე იქნება გათვლილი. ოპომედიაში არსებულ მსგავსი სახის გადაცემებს პოლიტიკური ელფერი აქვთ და მიუხედავად იმისა, რომ დიდი ინტელექტუალობით, ან სიმართლით არ გამოირჩევიან, მაყურებელზე შესაბამისად მოქმედებენ. ინტელექტუალურ გადაცემებს თავი რომ დავანებოთ, „სახელისუფლებო მედიაში“ გასულ შოუებში ისევ ოპოსტუმრები დომინირებენ, რაც მაყურებელს უქმნის იმ განცდას, რომ დამარცხებული რეჟიმის წარმომადგენელთა გარეშე არც ლექსი იწერება, არც სიმღერა იმღერება და კინოს გადაღება არ ხდება. ბევრს აღარ გავაგრძელებ, რადგანაც ეს საკმაოდ მოცულობითი პრობლემაა და პირველ რიგში, მაყურებლის პრობლემას ეხება. სასურველია, თუ სახელისუფლებო გუნდში ამ საკითხზე სერიოზული მსჯელობა გაიმართება.**



**გია გაბრიჭიძე**



## ავსტრალიური სიმღერა სარიტუალო მოძრაობების თანხლებით

**ლოტბარმა თამარ გუაძემ სალოტბარო სკოლების ფესტივალ „მომავლის ხმების“ მესამე ნაკადის ბავშვებს ავსტრალიური ხალხური სიმღერა „სესერეიე“ შეასწავლა, სიმღერისათვის განკუთვნილ სარიტუალო მოძრაობებთან ერთად.**

შეხვედრა მოიცავდა რიტმულ სავარჯიშოებს, რომლებიც ავითარებს რითმის შეგრძნებასა და კონცენტრაციას.

სიმღერა-თამაშები მოზარდში ერთდროულად ავითარებს სიმღერის, მრავალხმიანობის, მეტყველების, ინტონაციურ, მუსიკალური თეორიის (სოლფეჯიოს), ფიზიკური აქტივობის, კოორდინაცია-კონცენტრაციის უნარებს და სახალისოს ხდის გაკვეთილის პროცესს.

თამარ გუაძე ანსამბლ „თუთარჩელას“ დამაარსებელი, მსოფლიო საგუნდო ორგანიზაცია ,,ევროპა კანტატას“ წევრი და რუსთავის ფოლკლორის სკოლის ხელმძღვანელია. მას სამასზე მეტი მოსწავლე ჰყავს, რომელთაც საკუთარი მეთოდით შემუშავებული სიმღერა-თამაშობებით ასწავლის, რაც ხელს უწყობს რითმის, ინტონაციის, კონცენტრაციისა და კოორდინაციის განვითარებას.

ლოტბარი გერმანიასა და შვეიცარიაში ათეული წელია მართავს მასტერკლასებს ქართული ხალხური და კლასიკური სიმღერების მოყვარულთათვის.

## გამარჯვებულია „ბოლნისის კლასიკური მუსიკის ფესტივალი“

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ კონკურსის - „კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია“ – შედეგი გამოაქვეყნა. სამინისტროს ცხრა განმცხადებელმა მომართა,** – ინფორმაციას ამის შესახებ კულტურის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, გამოვლინდა ერთი გამარჯვებული პროექტი: „ბოლნისის კლასიკური მუსიკის ფესტივალი“, განმახორციელებელი შპს ახალგაზრდა მუსიკოლოგთა ასოციაცია.

სამინისტროს ინფორმაციით, პროექტით გათვალისწინებულია ქალაქ ბოლნისის სხვადასხვა კულტურულ სივრცეში კლასიკური მუსიკის ხუთდღიანი ფესტივალის ჩატარება; გაიმართება კონცერტები, სემინარები, კონფერენცია, ჩატარდება მასტერკლასები.

**კონკურსი „კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია“ წელს პირველად ჩატარდა. კონკურსის ბიუჯეტი იყო 100 000 ლარი. 2018 წლიდან დღემდე, ამავე შინაარსის პროექტი „კლასიკური მუსიკა ალტერნატიულ სივრცეში“ კონკურსის გარეშე, ე.წ. ექსკლუზივის სახით იღებდა დაფინანსებას და მას სამინისტროს სსიპ კლასიკური მუსიკის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრი ახორციელებდა. ამისათვის 80-100 000 ლარის ოდენობის ბიუჯეტი გამოიყოფოდა.**

2020-2021 წლებში, პანდემიის გამო, პროექტი ვერ განხორციელდა. კონკურსის მიზანი – კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია ტრადიციული საკონცერტო სივრცის მიღმა – განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონებსა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის, ახალგაზრდობისთვის, რომლებიც ზოგჯერ მოკლებულნი არიან კლასიკურ მუსიკასთან ზიარების შესაძლებლობას.

## უძველესი რესტავრირებული საბუთები ეროვნულ არქივში

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის რესტავრაციის ლაბორატორიაში 2023 წლის 6 თვეში რესტავრაცია ჩაუტარდა ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების 14 357 ფურცელს, 40-მდე ფოტოს, 41 ტექნიკურ ნახაზს და სხვა საარქივო დოკუმენტებს.**

ამ პერიოდში რესტავრირებული იყო ქართველი მეფეების, სასულიერო პირებისა თუ სახელმწიფო მოღვაწეების 77 ისტორიული საბუთი. ამასთან, საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500 კინოფირს და 80 ფოტოდოკუმენტს. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს ეროვნული არქივის რესტავრატორები აქტიურად მუშაობდნენ XII-XIII საუკუნეების ქურაშის ოთხთავის სახარებაზე, რომელიც ეტრატზეა შესრულებული და პალიმფსესტურ ფურცლებს შეიცავს.

## ფესტივალი „მომავლის ხმები“ დასასრულს უახლოვდება

**ფესტივალმა მესამე – დასკვნით ნაკადს უმასპინძლა. ხონის, ონის, სამტრედიის, თელავის, ბორჯომის და გორის სალოტბარო სკოლებიდან 130 მოსწავლე ანაკლიაში ჩავიდა და ოთხი დღის მანძილზე მუსიკალურ, სპორტულ და გასართობ ღონისძიებებში მიიღო მონაწილეობა.**



„მომავლის ხმები“ 17 ივლისს დაიწყო და უკვე უმასპინძლა 12 სალოტბარო სკოლას საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. წინა ორი ნაკადის მსგავსად, მესამე ნაკადის პირველი დღეც ზუგდიდში კონცერტით დაიწყო. კონცერტი ზუგდიდის სალოტბარო სკოლის მოსწავლეებმა გახსნეს. მონაწილეებმა საგალობლები და ამ კუთხისთვის დამახასიათებელი ფოლკლორული სიმღერები შეასრულეს. მოსწავლეებს სიტყვით მიმართეს ფესტივალის ორგანიზატორმა ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა გიორგი დონაძემ და ფესტივალის მხარდამჭერმა ზუგდიდის მერმა მამუკა წოწერიამ. სალოტბარო სკოლების ფესტივალი „მომავლის ხმები“ კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით მიმდინარეობს და ანაკლიაში ხვალ დასრულდება.




# მეტრო განახლდება, უნებართვო კაფე-ბარები მოწესრიგდება

**დედაქალაქის მერიაში გუშინ მუნიციპალიტეტის მთავრობის მორიგი სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ მეტროსადგურ „ვარკეთილის“ სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები სადგურის დაკეტვის გარეშე ჩატარდება.**

მისი თქმით, რეაბილიტაციის პროცესში მეტროსადგური მგზავრებს ჩვეულ რეჟიმში მოემსახურება.

აზიის განვითარების ბანკის (ADB) „საცხოვრებლადვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის“ ფინანსური მხარდაჭერით, თბილისის მეტროსადგურების განახლების ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევა და დეტალური დიზაინის შემუშავება იგეგმება.

მისი თქმით, კვლევისა და სამშენებლო სამუშაოების ჩათვლით, მეტროს განახლებისთვის, დაახლოებით, 20 მლნ აშშ დოლარია გამოყოფილი.

თბილისის მერის თქმით, აღნიშნული პროექტების განხორციელების შედეგად, დედაქალაქს გამართული, მოდერნიზებული და კომფორტული მეტროსადგურები ექნება.

დედაქალაქის მერმა ინფრასტრუქტურულ პროექტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ „მშვიდობის ხიდის“ სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა, რომელიც უცხოელი და ქართველი სპეციალისტების აქტიური ზედამხედველობით განხორციელდა.

**„დავიწყეთ „მშვიდობის ხიდის“ სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც ცუდ მდგომარეობაში იყო, საჭიროებდა განახლებასა და მოწესრიგებას. ამჟამად, დაახლოებით, 200 მეტრამდე სიგრძის საფეხმავლო ხიდის დაზიანებული უბნების აღდგენა-გაძლიერების სამუშაოები უკვე დასრულებულია. რეაბილიტაცია ჩაუტარდა ხიდის საკიდებს, რისთვისაც სპეციალური კონსტრუქციები მოეწყო, აღდგა დეფორმირებული კიბეებიც. ამასთან, მტკვრის მარცხენა სანაპიროს მხარეს რეაბილიტირდა ხიდის დაზიანებული ბურჯი. დღეს „მშვიდობის ხიდი“ ყველანაირად უსაფრთხოა, სამუშაოები კი დასრულებული. ერთადერთი, რაც დარჩა და მომდევნო თვეების განმავლობაში გაკეთდება, ხიდზე ახალი განათებების მონტაჟია“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, სარეაბილიტაციო სამუშაოების ჯამური ღირებულება 1 400 000 ლარს შეადგენს.

კიდევ ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი, რაზეც ყურადღება გამახვილდა, საბურთალოს რაიონში რეკრეაციული სივრცეა, რომელიც დიდ დიღომში, ფეხბურთის ფედერაციის საფეხბურთო ცენტრის მიმდებარედ, 5 000 კვ.მ ფართობზე რაიონის გამგეობამ მოაწყო.

კახა კალაძის განცხადებით, ადგილობრივი მოსახლეობის სურვილი – აღნიშნულ ტერიტორიაზე რეკრეაციული სივრცე მოწყობილიყო, დაკმაყოფილებულია.

გარდა ამისა, მთავრობის დღევანდელ სხდომაზე აღინიშნა, რომ თბილისის მერიამ ხმაურის ნორმების დარღვევისთვის ჯარიმების გაზრდის მიზნით შესაბამისი კანონპროექტი შეიმუშავა, რომელსაც უახლოეს მომავალში საქართველოს პარლამენტს წარუდგენს.

თბილისის მერის თქმით, არსებული სანქციები პრაქტიკულად უშედეგოა და ვერ ქმნის კანონდარღვევის ასარიდებლად პრევენციულ ზომებს.

**„ტურისტული სეზონის გააქტიურებასთან ერთად, აქტუალური ხდება ხმაურის დონის გადამეტების პრობლემა კერძო თუ საზოგადოებრივ სივრცეებში. არსებული რეგულაციების მიხედვით, ზოგ ადგილებში და ობიექტებზე დასაშვებია ხმაურის გარკვეული დონე 08:00-დან 11:00 საათამდე, ხოლო 11:00-დან 08:00 საათამდე ან საერთოდ აკრძალულია ხმაური, ან კიდევ დაშვებულია ხმაურის დაბალი დონე, თუმცა, სამწუხაროდ, აღნიშნულ კანონს ხშირ შემთხვევაში არ იცავენ კაფეები, ბარები, რესტორნები, კლუბები და ა.შ. ამ ობიექტებში ხმაურის დასაშვები დონე დღე-ღამის ყველა მონაკვეთში, დილით, შუადღით, საღამოს თუ ღამით არის ერთნაირად შეზღუდული და არ უნდა აღემატებოდეს 50 დეციბელს.**

**რამდენიმე კვირის წინ, მთავრობის სხდომაზე მოვუწოდე და ვთხოვე ყველა მსგავს ობიექტს, დაიცვან ხმაურთან დაკავშირებით კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმები, ასევე, დავავალე მუნიციპალური ინსპექციის უფროსს, რომ ამ მიმართულებით გაემკაცრებინა მონიტორინგი. ფაქტია, რომ ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტებისთვის დადგენილი სანქციები უშედეგოა და არ წარმოადგენს არანაირ ბერკეტს, რათა კანონდამრღვევმა თავი შეიკავოს განმეორებითი დარღვევებისგან. ხშირ შემთხვევაში, ეს ობიექტები კვლავ უგულებელყოფენ კანონს და საზოგადოების ინტერესებს“,** – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, სანქციების მიზანი არა ბიზნესის დაზარალება, არამედ ადამიანის უფლებების დაცვაა.

დედაქალაქის მერმა მადლობა გადაუხადა პარლამენტის წევრებს და იმედი გამოთქვა, რომ უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო მხარს დაუჭერს ამ ინიციატივას.

კახა კალაძემ აღმაშენებლის გამზირის საფეხმავლო ნაწილზე არსებულ ვითარებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ აღმაშენებლის გამზირისა და ჭოროხის ქუჩის კვეთიდან ზაარბრიუკენის მოედნამდე არსებულ საგზაო მონაკვეთს მოიცავს, 40-მდე ღია კაფე ყოველგვარი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე ფუნქციონირებს.

მისი თქმით, კაფეების ქაოსური განლაგება კი ფეხით მოსიარულეებს გადაადგილებისას პრობლემას უქმნის. თბილისის მერიის მხარდაჭერით, დედაქალაქი მასპინძლობს საერთაშორისო შეჯიბრს ჩოგბურთში 18 წლამდე ვაჟებსა და გოგონებს შორის სახელწოდებით **„თბილისი-ლეილა მესხის თასი“.**

კახა კალაძემ შეჯიბრში მონაწილე ჩოგბურთელებს წარმატებები უსურვა და აღნიშნა, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია მერიის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

**თბილისში არაერთი საერთაშორისო ტურნირი ტარდება სპორტის სხვადასხვა სახეობაში და თითოეული მიმართულების განვითარება და ხელშეწყობა ჩვენთვის თანაბრად მნიშვნელოვანია. თბილისის მერია, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სპორტულ აქტივობებს მუდმივად შეუწყობს ხელს.**

**ხელოვნური ინტელექტის გავრცელებასთან ერთად გააქტიურდა დისკუსია, რომელიც პროგრესის თანმხლებ დადებით და უარყოფით მხარეებს ეხება.**

**თუ რატომ ეშინიათ ადამიანებს ხშირად ახალი ტექნოლოგიების, გერმანელი ექსპერტები განმარტავენ.**



# პანიკა! უნდა გვეშინოდეს თუ არა ხელოვნური ინტელექტის?

### რა ხდება?

**ტექნოლოგიურ პროგრესს ყველა ვერ აღიქვამს პოზიტიურად. აღნიშნულ პროცესს ზოგიერთი ადამიანი აკრიტიკებს, სხვები კი ინოვაციების დემონიზაციას ეწევიან. „ტექნოლოგიური სკეპტიციზმის დადასტურებას ვპოულობთ იმ ადრეულ წერილებში, რომლებიც შემოგვრჩა“,** – აღნიშნავს ფილოსოფოსი და ტექნოლოგიების ისტორიკოსი კრისტიან ვატერი Deutsche Welle-სთან ინტერვიუში.

პროგრესისადმი უნდობლობა შეიძლება სხვადასხვა მიზეზით იყოს გამოწვეული. ეს შეიძლება იყოს ტექნიკური გამოგონებების სირთულე, მომხმარებლების მხრიდან გაუგებრობა ან კონტროლის დაკარგვის შიში. თუმცა ეს ჯერ კიდევ არ არის ტექნოლოგიების მიმართ საზოგადოებაში არსებული შიშის საბოლოო დასტური. **„კარგია, რომ ადამიანები ახალ ტექნოლოგიებს პრაქტიკაში ცდიან და რაციონალურ გადაწყვეტილებებს მხოლოდ ამის შემდეგ იღებენ“,** – აცხადებს მიუნხენის გერმანული მუზეუმის კვლევის ხელმძღვანელი ჰელმუტ ტრიშლერი. აღნიშნული მუზეუმი 2023 წლის ივლისში დაარსებიდან 120 წლის იუბილეს აღნიშნავს.

ამასთანავე, კრისტიან ვატერი ხაზს უსვამს, რომ ახალი ტექნოლოგიების შესაძლო შედეგების რაციონალურ შეფასებასა და ირაციონალურ სენტიმენტებსა თუ შფოთვასა და პანიკას შორის დიდი განსხვავებაა. გერმანელი მეცნიერი დარწმუნებულია, რომ **„შფოთვის განცდა საკმაოდ ბუნებრივი და უაღრესად აუცილებელია“.**

### არის თუ არა რკინიგზა ეშმაკის საქმე?

**ორთქლმავლისა და რკინიგზის გამოგონების ისტორია გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ტექნიკურმა გამოგონებამ შფოთვა და პანიკა თანაბრად გამოიწვიოს. ადრეულ წლებში ადამიანთა გარკვეული კატეგორია რკინიგზას ეშმაკის ბოროტ საქმედ მიიჩნევდა. 1825 წელს ინგლისში მსოფლიოში პირველი საზოგადოებრივი მოხმარების რკინიგზა გაიხსნა.**

შესაბამისად, დიდი, სწრაფი, ხმაურიანი და მწეველი „რკინის ცხენი“ ევროპაში შემოვიდა. ამას მოჰყვა „სარკინიგზო ავადმყოფობის“ შიში, რომელიც უპირველეს ყოვლისა, მაღალი სიჩქარით იყო გამოწვეული – იმ დროისთვის დაახლოებით 30 კილომეტრი საათში მაღალ სიჩქარედ ითვლებოდა. ფართო მოხმარების მიუხედავად, სარკინიგზო ტრანსპორტის კრიტიკა ვიქტორიანულ ინგლისშიც გაგრძელდა. ამას მოწმობს არაერთი კარიკატურა თუ პოლიციის იმდროინდელი ჩანაწერები.

**მაშინდელ კონტექსტში ამ რეაქციებს ჰელმუტ ტრიშლერი „აბსოლუტურად გასაგებად“ მიიჩნევს. ტექნოლოგიური პროგრესი გადახედვას მოითხოვს და შეიძლება გამოიწვიოს შიში, რომლებზეც ადამიანები დიდი სიფრთხილით რეაგირებენ. „ახალი საგნები ემოციებს იწვევს. ფაქტობრივად, ტექნოლოგიაც ყოველთვის ემოციებთან ასოცირდება“,** – განმარტავს გერმანელი ექსპერტი. არა და, თითქმის ორი საუკუნის შემდეგ სარკინიგზო ტრანსპორტი ჩვეულებრივი და შეუცვლელი სატრანსპორტო საშუალება გახდა.

### მოთხოვნა ბირთვულ ენერგიაზე

**მიუხედავად ამისა, ყველა ტექნიკური გამოგონება უარყოფით ემოციებს სულაც არ იწვევს. მაგალითად, ბირთვული ენერგია გერმანიაში თავიდანვე დიდი საზოგადოებრივი წინააღმდეგობის გარეშე დაინერგა. პირველი გერმანული კვლევითი რეაქტორი 1957 წელს მიუნხენში აიგო, ოთხი წლის შემდეგ კი ბირთვული ენერგია ელექტრომომარაგების არსებულ სისტემაში ჩაერთო. 1960-იან წლებში ბირთვული ენერგია განიხილებოდა როგორც ნავთობისა და ნახშირის სუფთა და იაფი ალტერნატივა, რამაც ახალი ინდუსტრიული პროგრესის იმედი გააჩინა.**

ბირთვული ენერგიის მიმართ პირველი კრიტიკა გერმანიაში 1975 წელს გაისმა. ეს მოხდა მაშინ, როდესაც ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო. ბადენ-ვიურტემბერგის მიწაზე მდებარე ვილის (Wyhl am Kaiserstuhl) მუნიციპალიტეტში საპროტესტო აქცია გაიმართა. დემონსტრანტები კლიმატის ცვლილებებზე, წყლის დონის შემცირებასა და ატომურ ელექტროსადგურებთან დაკავშირებული უსაფრთხოების შესაძლო პრობლემებზე საუბრობდნენ. ანტიბირთვული მოძრაობა გაძლიერდა, როდესაც 1979 წელს აშშ-ში, პენსილვანიის შტატის დედაქალაქ ჰარისბურგში უბედური შემთხვევა მოხდა.

ამასთანავე, რადიოაქტიური ნარჩენების საცავების ნაკლებობაზე დაიწყო საუბარი. 1986 წლის ჩერნობილის ავარიის შემდეგ ამ მიმართულებით ადამიანების შიში კიდევ უფრო გამძაფრდა. „ფუკუშიმა-1“-ის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი უბედური შემთხვევა კი ბირთვული ენერგიის საწინააღმეგო მოძრაობაში გადამწყვეტი მომენტი გახდა. 2011 წელს, გერმანიის ბუნდესტაგმა გადაწყვიტა, ბირთვული ენერგიის გამოყენებაზე საბოლოოდ უარი ეთქვა. გერმანიაში უკანასკნელი ატომური ელექტროსადგური მიმდინარე წელს გამოირთო – 16 აპრილის ღამეს ხელისუფლებამ ქსელიდან გათიშა ბოლო სამი მოქმედი ატომური ელექტროსადგური – Isar 2 ბავარიაში, Neckarwestheim 2 ბადენ-ვიურტემბერგში და Emsland ქვემო საქსონიაში.

ასე დასრულდა გერმანიაში ბირთვული ენერგიის ეპოქა, რომელიც ექვს ათწლეულზე მეტხანს გაგრძელდა. ქვეყნის მთავრობის გადაწყვეტილებას დღესაც მწვავედ აკრიტიკებენ, რადგან ამ ტექნოლოგიას პოლიტიკასა თუ საზოგადოებაში ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. კრიტიკა განსაკუთრებით აქტუალური გახდა რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული ენერგეტიკული კრიზისის გამო.

### ადამიანი მანქანის წინააღმდეგ?

**რამდენად მცირე შეიძლება იყოს ზღვარი პროგრესით გამოწვეულ აღფრთოვანებასა და ეჭვს, მხარდაჭერასა და უარყოფას შორის, ნათელი ხდება ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებით მიმდინარე დებატებში. ეს ტერმინი პირველად გამოიყენა ამერიკელმა ჯონ მაკკარტიმ 1956 წელს. ის აღწერს ინფორმატიკის განყოფილებას, რომლის მიზანიც ადამიანური შესაძლებლობებით მანქანების აღჭურვაა.**

მრავალწლიანი განვითარებისა და კვლევის შემდეგ, ხელოვნური ინტელექტი სხვადასხვა სფეროში სწრაფი ტემპით ვრცელდება. მაგალითად, გერმანიაში მალე გამოჩნდება ხელოვნური ინტელექტის საფუძველზე შექმნილი რადიო, სადაც ადამიანები არ იმუშავებენ. თუმცა ამ ტექნოლოგიის რისკების შესახებ მწვავე დებატები მთელ მსოფლიოში გრძელდება. კამათი ეხება ჩატბოტ ChatGPT-ს, რომელიც ონლაინ რეჟიმში 2022 წლის ნოემბერში გაეშვა. ხელოვნური ინტელექტის დახმარებით, ჩატბოტს შეუძლია დამოუკიდებლად დაწეროს ტექსტები სულ რაღაც რამდენიმე წამში და მათ ერთი შეხედვით სულაც არ ეტყობათ, რომ მოწყობილობის მიერ არის შექმნილი. 2023 წლის მარტში იტალია გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც ჩატბოტი აკრძალა. ამ ეტაპზე ChatGPT იტალიაში კვლავ ხელმისაწვდომია, მაგრამ მხოლოდ მომხმარებელთა სავალდებულო ასაკობრივი შემოწმების შემდეგ.

ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული შიში ეხება ყალბი ახალი ამბების ან დეზინფორმაციის გავრცელებას, ადამიანების პროფესიული მომავლისთვის საფრთხის შექმნასა და ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევას. ჰელმუტ ტრიშლერი თვლის, რომ ზოგადად, ხელოვნური ინტელექტის შიში ტექნოლოგიის სირთულით არის გამოწვეული. **„არსებობს განსაკუთრებული შიში მსხვილ ტექნიკურ სისტემებთან დაკავშირებით, რომლებიც, როგორც ჩანს, ანონიმურია“** – ამბობს ექსპერტი. ვატერის თქმით, შეშფოთება იმის შესახებ, თუ რამდენად კონკრეტულად აისახება ხელოვნური ინტელექტი ადამიანის მუშაობის შესაძლებლობაზე, რაციონალურია. თუმცა პროგნოზებს იმის შესახებ, რომ ხელოვნური ინტელექტის განვითარებასთან ერთად, ადამიანის ყოველგვარი შემოქმედებითი ძალისხმევა ზედმეტი გახდება და უახლოეს მომავალში მსოფლიოს მანქანები დაიპყრობენ, გერმანელი მეცნიერი „პანიკას“ უწოდებს. **„თუ წარსულისკენ გავიხედავთ, ვნახავთ, რომ არსებული შიშები არ განხორციელებულა“,** – იხსენებს ტრიშლერი. თუმცა ეპოქის გათვალისწინებით, ისინი სავსებით გასაგებია. ექსპერტის თქმით, პროგნოზების გაკეთების უნარი შეიძლება სასარგებლოც კი იყოს, „რადგან ის გვეხმარება, შემდეგი ნაბიჯების გადადგმაში“ და **„ის ფაქტი, რომ ყველაფერი ისე არ მიდის, როგორც ჩვენ გვგონია, სინამდვილეში ნორმაა“.**

## ჯოზეფ ბორელი: ყურანის ან წმინდად მიჩნეული სხვა წიგნის შეურაცხყოფა არის უპატივცემულობა და აშკარა პროვოკაცია

**დანიასა და შვედეთში ყურანის დაწვის ფაქტებთან დაკავშირებით საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი ჯოზეფ ბორელი განცხადებას ავრცელებს. ის ცალკეული ინდივიდების მიერ ყურანის დაწვას პროვოკაციას უწოდებს.**

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის განცხადებით, ევროპაში რამდენიმე პირის მიერ ჩადენილმა ბოლო ქმედებებმა მრავალ მუსლიმს შეურაცხყოფა მიაყენა. როგორც ბორელი აღნიშნავს, მრავალფეროვნების პატივისცემა არის ევროკავშირის ძირითადი ღირებულება.

**„ევროკავშირი ადასტურებს რელიგიური სიძულვილისა და შეუწყნარებლობის წაქეზების ნებისმიერი ფორმის ძლიერ და მტკიცე უარყოფას. მრავალფეროვნების პატივისცემა არის ევროკავშირის ძირითადი ღირებულება. ეს მოიცავს სხვა რელიგიური თემის პატივისცემას. ყურანის ან წმინდად მიჩნეული სხვა წიგნის შეურაცხყოფა არის შეურაცხმყოფელი, უპატივცემულობა და აშკარა პროვოკაცია. რასიზმის, ქსენოფობიისა და მასთან დაკავშირებული შეუწყნარებლობის გამოხატვას ევროკავშირში ადგილი არ აქვს. ჩვენ გავაგრძელებთ რელიგიის ან რწმენის თავისუფლების და გამოხატვის თავისუფლების მხარდაჭერას შინ თუ გარეთ, თუმცა ყველაფერი არ არის ეთიკური, რაც კანონიერია“,** – ნათქვამია ბორელის განცხადებაში.

ევროპელი დიპლომატის თქმით, ახლა ერთად დგომის დროა ურთიერთპატივისცემისა და გაგებისთვის.

**„ინდივიდუალური პროვოკატორების მიერ ჩადენილ ამ აქტებს სარგებელი მოაქვთ მხოლოდ მათთვის, ვისაც ჩვენი და ჩვენი საზოგადოებების დაყოფა სურთ“,** – აღნიშნავს ბორელი. შვედეთსა და დანიაში ბოლო დღეებში ყურანის დაწვის რამდენიმე ფაქტს ისლამურ ქვეყნებში მასობრივი საპროტესტო გამოსვლები მოჰყვა.




## აკრძალეთ საკლასო ოთახებში სმარტფონები!!!

**იუნესკო საკლასო ოთახებში სმარტფონების გლობალურ აკრძალვას ითხოვს,** – ამის შესახებ ნათქვამია გაეროს სააგენტოს ანგარიშში, რომელშიც აღნიშნულია, რომ სმარტფონების აკრძალვა სწავლის ხარისხის გააუმჯობესებს და ბავშვებს დაიცავს კიბერბულინგისგან.

**იუნესკოში მიიჩნევენ, რომ არსებობს მტკიცებულებები, რომ მობილური ტელეფონის ხანგრძლივად გამოყენება მოწაფის მიერ სასწავლო მასალის ათვისებაზე უარყოფითად მოქმედებს და ასევე აისახება ბავშვების ემოციურ სტაბილურობაზე. იუნესკოს ანგარიშში წერია, რომ სმარტფონების საკლასო ოთახებში აკრძალვამ უნდა დაანახოს ყველას, რომ ციფრული ტექნოლოგიები, და მათ შორის ხელოვნური ინტელექტი, უნდა ექვემდებარებოდეს „ადამიანზე ორიენტირებულ ხედვას“ და არ უნდა ჩაანაცვლოს პედაგოგთან ურთიერთობა.**

იუნესკოს ხაზს უსვამს, რომ განათლების ხარისხზე ციფრული ტექნოლოგიების დადებითი ეფექტი, შესაძლოა, არასწორად იყოს შეფასებული. იუნესკოს გენერალური დირექტორის თქმით, საკლასო ოთახებში სწავლება ონლაინ სწავლებამ არ უნდა ჩაანაცვლოს.

# საუდის არაბეთი - მუსლიმთა სამყაროს ახალი ლიდერი...



**ცენტრალური აზიის რეგიონზე გავლენის მოპოვების პროცესში, ახალი მოთამაშეები, სპარსეთის ყურის ქვეყნები ჩაება საუდის არაბეთის მეთაურობით. რეგიონზე გავლენაში ერთმანეთს ამერიკა, რუსეთი, ჩინეთი და თურქეთი ეჯიბრება. თავად რეგიონის ქვეყნები მრავალვექტორული პოლიტიკის გატარებას ცდილობს. საუდის არაბეთიც ასეთივე პოლიტიკას მისდევს, მაგრამ უკრაინის ომის გამო, ის მთელ საერთაშორისო არენაზე გააქტიურდა.**

ანალიტიკოსები წინასწარმეტყველებდნენ, რომ დასავლეთის მონოპოლიის დაღმასვლა დაიწყებოდა ერთპოლუსიანი მსოფლიოს მრავალპოლუსიანად გარდაქმნასთან დაკავშირებით, თუმცა, ამდენი პოლუსის ერთბაშად გამოჩენას ნამდვილად არ ელოდნენ. მართლაც, საერთაშორისო არენა მრავალი პატარა პოლუსისგან შემდგარ დიდ მოზაიკას დემსგავსა, რომელშიც საუდის არაბეთიც ჩაჯდა როგორც ერთ-ერთი პოლუსი. მას ამბიცია აქვს, მუსლიმთა სამყაროს ლიდერი გახდეს.

ამ საქმეში, მისი კონკურენტები თურქეთი და ირანია. რაც შეეხება სპარსეთის ყურეს, აქ ის უდავო ლიდერია. სპარსეთის ყურის ქვეყნები სწორედ საუდის არაბეთის რჩევით ჩაება ამ შეჯიბრში. ცენტრალური აზიის სახელწიფოები მიესალმება რეგიონში ისეთი მოთამაშეების გამოჩენას, როგორიც სპარსეთის ყურის ქვეყნებია, მათ შორის, საუდის არაბეთი. ცენტრალურ აზიასთან დასაახლოებლად, შარშან, საუდის არაბეთმა შეხვედრების ახალი პლატფორმა შექმნა, სახელწოდებით, სპარსეთის ყურისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ურთიერთობების საბჭო, რომლის პირველი მინისტერიალი მაშინვე შედგა. მიმდინარე წლის 18-19 ივლისს კი, საბჭოში შემავალი ქვეყნების სამიტი გაიმართა სპარსეთის ყურის ფინანსურ ცენტრში, საუდის არაბეთის ქალაქ ჯიდაში. სამიტის ფარგლებში არაერთი შეხვედრა შედგა და ბევრ ხელშეკრულებასაც მოეწერა ხელი. როგორც საუდის არაბეთის პრინცმა განაცხადა, ეს ახალი ფორმატი შეიქმნა რეგიონთაშორისი სავაჭრო, ეკონომიკური, კულტურული და ჰუმანიტარული კავშირების გასაღრმავებლად, ასევე, იმ საინვესტიციო პროექტების გასამარტივებლად, რომელსაც სპარსეთის ყურის ქვეყნები ცენტრალური აზიის რეგიონში ახორციელებენ. ინვესტიციები კი, საკმაოდ დიდია.

წელს, მხოლოდ საუდის არაბეთმა, 14 მილიარდი დოლარის ინვესტიცია განახორციელა უზბეკეთში. აქედან, 12 მილიარდი ენერგოსექტორში დაიხარჯება. საუდის არაბეთმა ყაზახეთშიც განახორციელა დიდი ინვესტიციები. მას სპარსეთის ყურის არც სხვა ქვეყნები ჩამორჩა. შეხვედრაზე, ყურადღება გამახვილდა ამ ორი რეგიონის დაახლოვების საქმეში რელიგიის დიდი როლზე. ამ მხრივაც ხორციელდება ინვესტიციები: სპარსეთის ყურის ქვეყნების ფინანსებით მრავალი მედრესი და მეჩეთი გაიხსნა. მაგალითად, ყატარი ტაჯიკეთში ყველაზე დიდი მეჩეთის მშენებლობას აფინანსებს. პროექტის ღირებულება 100 მილიონი დოლარია. ცენტრალური აზიის ლიდერები უაღრესად კმაყოფილნი დარჩნენ სამიტის შედეგებით. მათ კარგი ურთიერთობა წინათაც ჰქონდათ სპარსეთის ყურის ქვეყნებთან, მაგრამ ასეთი ცენტრალიზებული და მასშტაბური, არასდროს. მსოფლიო ძალების ყურადღება თანდათან იზრდება ცენტრალური აზიის ქვეყნების, ანუ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიმართ, რაც მათ მომავალს განსაზღვრავს. ეს გეოპოლიტიკური ლანდშაფტი ძალიან დინამიურია, რომლის ფარგლებში ყველა მოთამაშე თავის ინტერესებს იცავს და საკუთარ გავლენას ზრდის.

# ამბოხი ჰოლივუდის „სამოთხეში“

**შორიდან რომ ვუყურებთ, ჰოლივუდი სამოთხე გვგონია, სადაც ყველა ლამაზი და ბედნიერია, მაგრამ მთლად ასეც არაა საქმე. ჰოლივუდის მსახიობები გაიფიცნენ! წინათაც ყოფილა ხოლმე ასეთი გამოსვლები, მაგრამ ამ მასშტაბის არა. სახელგანთქმულ ამერიკულ კინემატოგრაფში კრიზისია. გაფიცვა სცენარისტებმა დაიწყეს და, ბოლოს, მსახიობებმაც აუბეს მათ მხარი. ამბობენ, რომ ამერიკელ ხელოვანთა ამბოხი კიდევ დიდხანს გაგრძელდება. საქმე იქამდე მივიდა, რომ მსახიობებმა, კილიან მერფიმ და ემილი ბლანტმა, რეჟისორ კრისტოფერ ნოლანის უახლესი ფილმის, „ოპენჰაიმერის“ პრემიერის დროს, დემონსტრატიულად დატოვეს დარბაზი.**




ამდროს, ეს ფილმი წლის ყველაზე გახმაურებული ნაწარმოებია, რომელშიც ისინი მთავარ როლებს ასრულებენ. გაფიცვის სულისჩამდგმელი ამერიკის მსახიობთა გილდიაა, რომელიც 160-ათას მსახიობს აერთიანებს. გაფიცვის გამო, საფრთხე სხვა ფილმების დამთავრებასაც დაემუქრა. ამერიკელი კინომცოდნეები ამბობენ, რომ ამერიკული კინოინდუსტრიის 2023 წლის გეგმები ჩავარდება, თუ კრიზისი დროულად არ აღმოიფხვრა. ამერიკული კინოინდუსტრია მსოფლიოში ყველაზე მსხვილი, წარმატებული და პოპულარულია. შეიძლება ითქვას, რომ მისი კრიზისი მსოფლიო კინოინდუსტრიის პარალიზებას ნიშნავს. მიმდინარე კრიზისი მაღალ ტექნოლოგიებს ბრალდება და ითვლება, რომ ეს გარდაუვალი იყო. წინათ, მხოლოდ კინოთეატრებში შეიძლებოდა ფილმების ჩვენება.

მოგვიანებით, ვიდეოკასეტები გამოიგონეს და ნახვებმა სახლებში გადაინაცვლა. კინოინდუსტრიას ფული ბილეთებისა და ვიდეოკასეტებით ვაჭრობით შემოდიოდა. მსახიობების უხვი ჰონორარების წყაროც იგივე იყო. ახლა, საქმე სხვაგვარადაა: შეიქმნა ეგრეთწოდებული სტრიმინგ-სერვისის კომპანიები, რომელთაც, ინტერნეტის წყალობით, მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში, ნებისმიერი ფილმის ნახვა გახადეს ხელმისაწვდომი, თუმცა, ამასაც ფული ჭირდება. სტრიმინგ-სერვისის კომპანიების ბუმი პანდემიის დროს დაიწყო, როცა კინოთეატრები დაიკეტა და კინოფილმებით გართობამ სახლის პირობებში გადაინაცვლა. შესაბამისად, სტრიმინგ-სერვისის კომპანიებმაც იმრავლა.

მაგალითად, კომპანია „ნეტფლიქსი“ წინათ არავის გაეგონა. ახლა კი, მილიარდობით დოლარია მისი შემოსავალი. ამ კომპანიებმა კინოინდუსტრიაში ახალი წესები შემოიღეს, ანუ, მსახიობებს ფილმის ჩვენებათა რაოდენობის მიხედვით კი არა, ერთჯერადად უხდიან ჰონორარს ფილმში მონაწილეობისთვის. მეორე პრობლემა კინოინდუსტრიაში ხელოვნური ინტელექტის დანერგვაა. თანამედროვე კინოკომპანიები, ხშირად, ფილმში მსახიობებს კი არ ათამაშებენ, არამედ ხელოვნურ ინტელექტს იყენებენ, რომელიც შესაბამისი მსახიობის კლონს ქმნის. გაფიცული მსახიობები საბაზისო ხელფასის გაზრდას და ციფრულ პლატფორმებზე ფილმების ჩვენების ჰონორარს თხოულობენ. და რაც მთავარია, ითხოვენ გარანტიას, რომ მათ შრომას ხელოვნური ინტელექტი არ შეცვლის.

# როგორ მოკლეს სერბეთის კენედი ზორან ჯინჯიჩი?



**მსოფლიო ისტორიას არაერთი პოლიტიკური მკვლელობა ახსოვს. ეს გახლავთ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის განზრახ და მოულოდნელად, ხშირად, დაკვეთით ჩადენილი მკვლელობა, რომელიც რაღაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური მიზნის მიღწევაზეა გათვლილი. პირველი დასაბუთებული პოლიტიკური მკვლელობა, რომელიც ისტორიამ შემოგვინახა, ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში მოხდა. ადამიანი ახლაც განაგრძობს ამ სასტიკი, მაგარამ ეფექტური პოლიტიკური იარაღის გამოყენებას.**

ყველა მკვლელობა ტრაგედიაა, მაგრამ თუ მსხვერპლის სიცოცხლეზე პირდაპირაა დამოკიდებილი ერის კეთილდღეობა, მაშინ, ტრაგედია ორმაგდება. ზუსტად ასეთი მკვლელობა მოხდა სერბეთში 2003 წელს, როცა, ქვეყნის პრემიერმინისტრი, ზორან ჯინჯიჩი მოკლეს. კაცი, რომელიც დემოკრატიისა და მოდერნიზაციის განსახიერება იყო და რომელსაც თანამედროვეობამ სერბეთის კენედი შეარქვა. პროფესიით ფილოსოფოსი, ჯერ კიდევ, სტუდენტობისას ჩაერთო პოლიტიკურ ცხოვრებაში. სერბეთის სხვა დისიდენტებთან ერთად, კომუნისტური დიქტატურის წინააღმდეგ იბრძოდა. მე-20 საუკუნის 70-იან წლებში, რეჟიმმა ის დააპატიმრა.

გერმანიის ბუნდეს-კანცლერის, ვილი-ბრანდტის ჩარევით გაათავისუფლეს, მაგრამ სამუდამოდ გააძევეს კაპიტალისტურ გერმანიაში, სადაც ფრანკფურტის უნივერსიტეტში ფილოსოფიის სწავლა განაგრძო. ჯინჯიჩის თანაკურსელი და მეგობარი იყო გერჰარდ შრიოდერის კაბინეტის წევრი და გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი, იოშკა ფიშერი. ჯინჯიჩმა წარჩინებით დაამთავრა 1989 წელს, სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ, იუგოსლავიაში დაბრუნდა და, მილოშევიჩის წინააღმდეგ, ოპოზიციას ჩაუდგა სათავეში. მისი თაოსნობით, დაარსდა სერბეთის დემოკრატიული პარტია.

1996 წელს, ზორან ჯინჯიჩმა სერბეთის დედაქალაქის, ბელგრადის მერის არჩევნებში გაიმარჯვა, მაგრამ, რამდენიმე ოპოზიციონერი პოლიტიკოსის მკვლელობით იმედგაცრუებულმა, ერთი წლის შემდეგ, თანამდებობა დატოვა და მონტენეგროში გაიხიზნა, საიდანაც, მილოშევიჩის წინააღმდეგ, სერბეთის ოპოზიციის გაერთიანებას ცდილობდა. 2000 წლის შემოდგომაზე, ოპოზიციამ ეგრეთწოდებული ბულდოზერის რევოლუცია მოაწყო, ანუ საპრეზიდენტო არჩევნები არ აღიარა და მასობრივ სახალხო პროტესტს ჩაუდგა სათავეში. შედეგად, სლობოდან მილოშევიჩი გადააყენეს და ხელახალი საპარლამენტო არჩევნები დანიშნეს, რომელიც გაერთიანებულმა ოპოზიციამ მოიგო და ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ზორან ჯინჯიჩი გახდა. არჩევისთანავე, დაიწყო მან და მისმა გუნდმა რეფორმების გატარება. გაუთავებელი ომებისა და მილოშევიჩის დიქტატურის გამო, სერბეთის ეკონომიკა სავალალო მდგომარეობაში იყო. ქვეყანას ჟანგბადივით სჭირდებოდა რეფორმები, რომელსაც მოსახლეობა ნიჰილიზმისგან უნდა ეხსნა, რომ დემოკრატიისა და სახელმწიფოს შენება დაწყებულიყო.

ჯინჯიჩის მთავრობას ბევრი მტერი ჰყავდა. მათი რაოდენობა გაორმაგდა, როცა მილოშევიჩი ჰააგის სასამართლოს გადასცეს. ჯინჯიჩს სერბეთის მაფია, მილოშევიჩის მომხრეები და სამხედრო მაღალჩინოსნები მტრობდნენ. 2002 წელს, ჯინჯიჩს და მის მთავრობას სპეციალური დანიშნულების რაზმი, წითელი ბერეტები აუბუნტდა, მაგრამ მან კონფლიქტის მოგვარება, როგორღაც, შესძლო, თუმცა, ჩანდა, რომ მილოშევიჩის გამოზრდილი უშიშროების მუშაკები ჯინჯიჩს და მის მთავრობას ვერ იტანდნენ. 2003 წელი, ჯინჯიჩისთვის, ცუდად დაიწყო: ორჯერ განხორციელდა მისი მოკვლის მცდელობა. პირველად, თებერვლის დასაწყისში სცადეს. მაშინ, მკვლელები ჯინჯიჩის ესკორტის განადგურებას ავტობანზე გეგმავდნენ, მაგრამ დაზვერვამ ისინი დროულად გაანეიტრალა და შეთქმულთა ჯგუფი დაიჭირეს. ჯინჯიჩის მკვლელობის მეორე მცდელობა 21 თებერვალს განხორციელდა. ისიც დროულად აღიკვეთა. როგორც გაირკვა, ტერორისტთა ორივე ჯგუფი მილოშევიჩის დროინდელი უშიშროების ოფიცრებისა და სერბეთის მაფიის წევრებისგან შედგებოდა.

ზორან ჯინჯიჩმა გაათმაგებული მონდომებითა და ენერგიით განაგრძო რეფორმებზე მუშაობა, თითქოს, გრძნობდა, რომ თავს არ დაანებებდნენ. მისი გამხელილი ოცნება სერბეთის ევროკავშირში გაწევრება იყო. ამაში ხედავდა ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას. რაც შეეხება საკუთარ უსაფრთხოებას, მთლიანად იყო მინდობილი უახლოეს გარემოცვაზე. 2003 წლის 12 მარტს, სერბეთის პრემიერ-მინისტრს მთავრობის სხდომა და შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრა ჰქონდა დღის წესრიგში. 12 საათსა და 25 წუთზე, დაცვამ მთავრობის სახლთან მიაცილა პრემიერ-მინისტრი. მანქანიდან გადმოსვლისთანავე, სნაიპერმა ორი გასროლა განახორციელა. ერთი ტყვია ჯინჯიჩს მოხვდა მკერდში, მეორემ კი, მისი ერთ-ერთი მცველი დაჭრა. დაჭრილი პრემიერი, უმალ, საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა. ჯინჯიჩი ერთი საათის შემდეგ გარდაიცვალა.

ტყვია პირდაპირ გულში ჰქონდა მოხვედრილი. მკვლელობიდან რამდენიმე წუთში, ტერაქტის ძიება დაიწყო. დაპატიმრებული ყველა ეჭვმიტანილი წითელი ბერეტების ყოფილი წევრი აღმოჩნდა. 2003 წლის 15 მარტს, ბელგრადი ზორან ჯინჯიჩს გამოეთხოვა. მას ნახევარ მილიონამდე ადამიანმა მიაგო საბოლოო პატივი. 2007 წელს, ჯინჯიჩის მკვლელობაში ეჭვმიტანილების სასამართლო პროცესი გაიმართა. სერბეთის სასამართლომ 12 მათგანი ცნო დამნაშავედ. მათ 35-დან 40 წლამდე პატიმრობა მიესაჯათ, მაგრამ მართლმსაჯულებამ მთავარ კითხვას ვერ უპასუხა: ვინ შეუკვეთა ჯინჯიჩის მკვლელობა? არსებული ვერსიებიდან, ერთია, ალბათ, ყველაზე სარწმუნო, რომელიც ჯინჯიჩის ახლო გარემოცვამ გააჟღერა.

მათი აზრით, მკვლელობის მოთავე სერბეთის სამხედრო დაზვერვის მაშინდელი ხელმძღვანელობა იყო, რომელიც, რაღაც მანქანებით, იმდროინდელ წმენდას გადაურჩა.

**ნუგზარ ბ. რუხაძე**

POSTV

# არახამიას ფრაქციის დეპუტატი მალდივებზე „გულაობს“



**უკრაინის უმაღლესი რადას ფრაქციის „ხალხის მსახურის“ წევრი იური არისტოვი, რომელიც უკრაინის უსაფრთხოების პოლიტიკაზეა პასუხისმგებელი, მალდივის კუნძულებზე აღმოაჩინეს.**

კერძოდ, არისტოვი 5-ვარსკვლავიან სასტუმროში შენიშნეს, სადაც ნომრის ფასი 100-დან 323 ათას უკრაინულ გრივნამდე (2700-8700 აშშ დოლარი) მერყეობს. სასტუმრო კერძო კუნძულზე, ისთჰააფუშიზე მდებარეობს. ეს ინფორმაცია უკრაინულ გამოცემა „სლიდსტვო ინფო“-ს სასტუმროს თანამშრომლებმაც დაუდასტურეს. მათ აღნიშნეს, რომ არისტოვმა სასტუმრო უკვე დატოვა. მომხდარზე კომენტარი გააკეთა „ხალხის მსახურის“ ფრაქციის ხელმძღვანელმა დავით არახამიამ. მისი თქმით, არისტოვს პარტიის პოლიტსაბჭოში წევრობა უკვე შეუჩერეს.

**„ამჟამად მივლინების შესახებ ინფორმაციას ვამოწმებთ. თუ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია დადასტურდა, მოვითხოვთ კომიტეტიდან მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას და სადეპუტატო უფლებამოსილების შეჩერებას“,** – განაცხადა არახამიამ. ინფორმაცია რუსეთის აგრესიის დაწყების შემდეგ უკრაინის მთავრობის და პარლამენტის წევრების საზღვარგარეთ დასვენების შესახებ უკრაინულ მედიაში ადრეც ვრცელდებოდა.

# ბრიტანეთის პარლამენტი აკრიტიკებს...

**ბრიტანეთის პარლამენტი აკრიტიკებს მთავრობას „ვაგნერის“ ჯგუფის საფრთხის არასაკმარისად შეფასების გამო. კომიტეტის მიერ დაკვეთილმა საგამოძიებო კვლევამ აჩვენა, რომ თითქმის ათი წლის განმავლობაში მთავრობა არასაკმარისად აფასებდა „ვაგნერის“ საქმიანობას, ისევე როგორც უსაფრთხოების შედეგებს ევროპაში და ამ ჯგუფის მოქმედების მასშტაბების მნიშვნელოვან გაფართოებას აფრიკაში.**

დეპუტატები აღნიშნავენ, რომ საჭიროა, შეიცვალოს მიდგომა „ვაგნერის“ მიმართ. დეპუტატებმა მოითხოვეს „ვაგნერის“ მხარდამჭერ ორგანიზაციებისთვის და პირებისთვის უფრო მიზანმიმართული სანქციების დაწესება. მათ დასძინეს, რომ ბრიტანეთმა უნდა გამოაცხადოს ჯგუფი ტერორისტულ ორგანიზაციად და აკრძალოს მისი საქმიანობა.

# პრიგოჟინის ჰარამხანა



**რუსეთის კერძო სამხედრო კომპანიის, „ვაგნერის“ დამფუძნებელს ევგენი პრიგოჟინს პეტერბურგის სასტუმროში გოგოების ჰარამხანა ჰყავდა, რომელთა ნაწილი არასრულწლოვანი იყო. პრიგოჟინი ხშირ შემთხვევაში ქალწულებს ირჩევდა.**

ვრცელდება ერთ-ერთ ასეთი გოგოს ინტერვიუ, რომელმაც პრიგოჟინს ქალწულობა 40 ათას რუბლად (440 აშშ დოლარი დღევანდელი კურსით) მიყიდა. მისი თქმით, პრიგოჟინს ჰქონდა რამდენიმე ნომერი პეტერბურგის სასტუმროში Solo Sokos Hotel Vasilievsky, რომელიც ვასილიევსკის კუნძულზე მდებარეობდა. ამ ინფორმაციის მიხედვით, გოგოები, რომლებთანაც პრიგოჟინს სექსი ჰქონდა, ათობით იყო, რომელთა ნაწილი სასტუმროში დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა.

**„ის ქალწულებს შამპუნის ბოთლებს ეძახდა – უნდა გახსნა და გადააგდო“,** – ამბობს პრიგოჟინის „გოგოების ესკორტის“ ყოფილი წარმომადგენელი. ამავე ინფორმაციის მიხედვით, პრიგოჟინამდე შეხვედრაზე გოგოს „სოგაზის“ კლინიკაში შემოწმება უნდა გაევლო და ქალწულობა დოკუმენტურად დაედასტურებინა.

ეს ინფორმაცია „რადიო თავისუფლების“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ადასტურებს, რომლის მიხედვით პეტერბურგის სამედიცინო ცენტრ „სოგაზში“ „ესკორტის გოგოები“ მუდმივ შემოწმებას გადიოდნენ. ისინი აბარებდნენ ანალიზებს შიდსზე, სიფილისზე და ჰეპატიტზე, ხოლო ზოგიერთი გოგო თავის ქალწულობას დოკუმენტურად ადასტურებდა.

# ხელმრუდე დეპუტატი თანამდებობას ტოვებს

**ნორვეგიის მემარცხენე პარტიის ლიდერმა, ბიორნარ მოქსნესმა თანამდებობა მას შემდეგ დატოვა, რაც ოსლოს აეროპორტში ძვირად ღირებული Hugo Boss-ის სათვალე მოიპარა.**



მოქსენის ქურდობის ფაქტი 16 ივნისს აეროპორტის სათვალთვალო კამერებმაც დაადასტურეს. კადრები სოციალურ ქსელში გავრცელდა, რის შემდეგაც ნორვეგიელი პოლიტიკოსი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ბიულეტენზე გავიდა.

ბიულეტენიდან დაბრუნებამდე ერთი დღით ადრე, მოქსნესმა ქურდობა აღიარა და თანამდებობა დატოვა.

**„ბევრმა მკითხა, როგორ შემეძლო ასეთი სისულელის გაკეთება. ეს ბევრჯერ ვკითხე ჩემს თავსაც ბოლო კვირებში. ამას ადეკვატურად ვერ ვხსნი“,** – წერს პოლიტიკოსი სოციალურ ქსელში. ადგილობრივი მედიის ცნობით, იმის გათვალისწინებით, რომ მოქსნესმა ფაქტის შემდეგ ბოდიში მოიხადა და თანამდებობა დატოვა, საქმე დახურულია. ბიონარ მოქსენსი პარტიის ლიდერის პოსტს ბოლო 11 წლის განმავლობაში იკავებდა. პარტიას პარლამენტში რვა ადგილი აქვს.



# ირანს და რუსეთს საქართველოს ერთობლივ პროექტში ჩართვა სურთ!

**ირანი და რუსეთი ელექტროენერგიას საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის გავლით გაცვლიან. ამის შესახებ ირანის ენერგეტიკის მინისტრმა ალი აკბარ მეჰრაბიანმა განაცხადა. მინისტრმა თქვა, რომ მოლაპარაკებები დასასრულს უახლოვდება.**

**„რუსეთთან ელექტროენერგიის გაცვლისთვის გამოვიყენებთ ორ მარშრუტს – აზერბაიჯანის რესპუბლიკას და სომხეთ-საქართველოს. ამჟამად მოლაპარაკებების დასრულების და განხორციელების პროცესში ვართ“,** – განაცხადა მინისტრმა და დასძინა, რომ თეირანი ზოგიერთ მეზობელთან ელექტროენერგიის გაცვლას გადახდის გარეშე ცდილობს: **„მალე ჩვენ დავიწყებთ ელექტროენერგიის გაცვლას რუსეთთან აზერბაიჯანის გავლით. ასევე დღის წესრიგშია რუსეთის ელექტრო ქსელთან დაკავშირება სომხეთისა და საქართველოს გავლით“.**

ოფიციალურ თბილისს ირანელი მინისტრის მიერ გაჟღერებულ ცნობებთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია, შესაბამისად, არაფერი ვიცით პირობების ქართული ვერსიის შესახებ, **ენერგეტიკოსი გია არაბიძე** კი ვარაუდობს, რომ საქმე უნდა გვქონდეს ბარტერთან.

**„მაგალითად, მე წამოვიღებ პირობითად, დეკემბერში გარკვეული რაოდენობის კილოვატ საათს და უკან მივაწოდებ წყალუხვობის პერიოდში. ვაჭრობის ამგვარი სქემა ეკონომიკაში მიღებული არაა, მაგრამ პრაქტიკაში გამოიყენება. ჩვენს შემთხვევაშიც არსებობს და მუშაობს: გარკვეული რაოდენობის მოგვაქვს სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, თურქეთიდანაც და მაშინ, როდესაც გვაქვს ჰიდროენერგია და უკეთესი საშუალებები, უკან ვაბრუნებთ. გააჩნია კონკრეტულ პირობებს“,** – განმარტავს ელექტროენერგიის გადახდის გარეშე გაცვლის არსს ენერგეტიკოსი.

ამგვარი პრაქტიკა წლებია, არსებობს სომხეთსა და ირანს შორის (სომხეთი იღებს გაზს და სანაცვლოდ ირანს ელექტროენერგიას აწვდის. მუშაობენ მოცულობების გაზრდაზეც) და ფიქსირდება აზერბაიჯანსა და ირანს შორისაც, მაგრამ არც საქართველოს და არც რუსეთს თეირანთან ელექტროენერგიის მიმოცვლა არ ჰქონია. სწორედ ესაა ამ ინფორმაციაში სიახლე.

**„როგორც ჩანს, ისინი აპირებენ, საქართველოც ჩართონ სქემაში“**,– აღნიშნავს ენერგეტიკოსი.

**ინფორმაციისთვის: საქართველოს რუსეთთან აქვს 500 კილოვოლტიანი ხაზი (რომელსაც 600–700 მეგავატის გატარება შეუძლია); სომხეთთან მხოლოდ – 220 კილოვოლტიანი, მაგრამ მიდის მუშაობა 500 კილოვოლტიანი ხაზის მშენებლობაზე; აზერბაიჯანთან აქვს ორი ხაზი– 500 კილოვოლტიანი და 330 კილოვოლტიანი. ყველაზე ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს თურქეთთან – საქართველოს გააქვს 600 მეგავატი, „თბოელექტროსადგურიც კი ჩავრთეთ, რადგან დიდია მოთხოვნა. ეს სისტემა უკვე გამართულია, კარგად მუშაობს. მეტიც, საუბარია იმაზე, რომ არსებული სიმძლავრეები აღარაა საკმარისი და უნდა გაძლიერდეს. თურქეთი კარგი გადამხდელია“,** – ეუბნება „აქცენტს“ **არაბიძე.**

ენერგეტიკოსი ამბობს, რომ ვინაიდან დიდი მანძილიდან გამომდინარე რუსეთიდან ირანამდე ელექტროენერგიის გადაცემას სოლიდური დანაკარგი ექნება, ეს ხელშეკრულებით შესაძლოა, სხვადასხვაგვარად დარეგულირდეს. მაგალითად, სომხეთმა და რუსეთმა საქართველოს მისცენ ელექტროენერგია, საქართველომ – სომხეთს, სომხეთმა – ირანს: **„სქემის დეტალები დისპეტჩერების საშუალებით დამუშავდება, თუ ვინ ვის მისცემს კონკრეტულად როდის, რა რაოდენობას და შემდეგ ვინ ვის გადასცემს“.**

## რატომ ახლა?

ენერგეტიკოსი ორ ძირითად გარემოებაზე მიუთითებს:

- **პანდემიის შემდეგ დაიწყო რა „ამოქოქვა“ ეკონომიკამ, ელექტროენერგიის მოხმარება იზრდება, მათ შორის, ირანში. მას ამ კუთხით სერიოზული გამოწვევები აქვს;**
- **არც თუ მცირე პოლიტიკური მდგენელი.**

**„იცით, რომ რუსეთს ამჟამად სამეზობლოში არავითარი ენერგეტიკული მიმოცვლა არ აქვს. ამ შეთანხმებით კი ორი-სამი სახელმწიფო ჩაერთვება სქემაში, გარკვეული რაოდენობა ელექტროენერგიისა ირანში წავა, გარკვეული რაოდენობა ირანიდან – რუსეთში და რაღაც ალტერნატივა გაკეთდება იმ ევროპული მიწოდებისა, რაც რუსეთს ჰქონდა აქამდე გინდაც გაზის, ნავთობპროდუქტების და ელექტროენერგიის კუთხით“,– განმარტავს ენერგეტიკოსი და დასძენს, „ამხელა პროექტის გაკეთება ერთ ძაფზე ჩამოკიდებით, სეროზულად არ გამოიყურება“** – სწორედ აქედანაც იკითხება ენერგეტიკოსის დაკვირვებით, პროექტის პოლიტიკური მდგენელიც.

ამასთან, ის არ გამორიცხავს, რომ ერთობლივ ეკონომიკურ პროექტებში მოხდეს სომხეთ–აზერბაიჯანის ჩართვა, რაც პრეცედენტი იქნება ათწლეულების განმავლობაში ამ ორ ქვეყანას შორის არსებული დაძაბულობის ფონზე.

## სჭირდება ეს პროექტი საქართველოს?

ენერგეტიკოსი ამბობს, რომ პოლიტიკის მიღმა, წმინდა ენერგეტიკული თვალსაზრისით, ხსენებული სქემიდან გარკვეული მოკლევადიანი სარგებელი შეიძლება, მიიღოს სახელმწიფომ, ექნება რა დივერსიფიცირების შესაძლებლობა, თუმცა არც თუ მნიშვნელოვანი. ენერგეტიკოსი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს ვერ იქნება სტრატეგიული მნიშვნელობის პროექტი:

**„ჩვენ ახალი ხაზი გვაქვს თურქეთთან და 600 მეგავატზე მეტი ვერ გაგვაქვს. რუსეთიდან წამოღებული და ირანისთვის მიწოდებული 600-600 მეგავატი არ არის ის ენერგია, რომელმაც ენერგეტიკულად რაიმე სერიოზული ეფექტი მისცეს ქვეყანას და გადაწონოს პოლიტიკა.**

**ძირს ვერ გამოუთხრის ჩვენს ენერგეტიკას, რაღაც პრობლემები რომც შეიქმნას (მინიმუმ ექვსი თვეა, ერთი კილოვატ საათი გადმოდინება არ გვქონია რუსეთიდან, მაგრამ ჩვენს ელექტრომომარაგებაში პრობლემები არ შექმნილა. ოთხი-ხუთი თვეა, არავითარი გადმოდინება არ არის არც სომხეთიდან და არც აზერბაიჯანიდან) და ვერც თვისობრივად ორი-სამი საფეხურით აიყვანს ახალ სიმაღლეზე: ეს არ არის მაგალითად, სამხრეთ კავკასიური გაზსადენი, არც იგივე შავი ზღვის კაბელი. ეს არის ორ-სამ სახელმწიფოს შორის შიდა ურთიერთობა, რომელთაც ელექტროენერგიის მიმოცვლა აქვთ“.**

# „ს. რ.“105 სპორტი პრესაში გვაერთიანებს

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 105-ე წლის საიუბილეო თარიღმა ამ გაზეთთან და მის წინამორბედთან დაკავშირებით, ძალიან ბევრი ადამიანი დააბრუნა სასიამოვნო მოგონებებში. ჩემს სიყმაწვილეში მამაჩემი პარტიული მუშაკი იყო და გაზეთ „კომუნისტით“ დაიწყო როგორც მკითხველის, ჩემი ურთიერთობა პრესასთან.**

შემდეგში, რა თქმა უნდა, უფრო მეტად სპორტმა დამაახლოვა დღეს იუბილარ გაზეთთან. ეს ურთიერთობა კი ექვს ათეულ წელიწადზე მეტს მოითვლის. თუნდაც ის რად ღირს, რომ სხვადასხვა დროს, სპორტის თემაზე მომუშავე ჟურნალისტების უმეტესობამ „ლელოდან“ გააგრძელა პროფესიული კარიერა ამ გაზეთში. თბილი კოლეგიალური ურთიერთობა გვქონდა და გვაქვს მუდამ ერთმანეთთან.

სტამბაში ერთ სივრცეში იკვრებოდა ჩვენი გაზეთების გვერდები. ქართულ სპორტს ამ ორ ავტორიტეტულ გამოცემაზე უფრო მეტად მოამაგე არ ჰყოლია. რაც მთავარია, ორივე გაზეთი განუყრელი იყო მკითხველისთვის.

დილით, საგაზეთო ჯიხურებთან რიგში მდგარი ადამიანებისგან ერთი და იგივე ფრაზა ისმოდა გამყიდველთან – „კომუნისტი“, „ლელო!“, „რესპუბლიკა“, „ლელო“!

1989 წლის ივლისში, ენთუზიასტებმა „ლელოდან“ დავიწყეთ საქართველოს ოლიმპიური დამოუკიდებლობის ჩანაფიქრის რეალიზება. კომუნისტურ ეპოქაში ასეთი სითამამე ნამდვილად სარისკო საქმე იყო, მაგრამ სპორტკომიტეტის თავმჯდომარის **ნუგზარ ენდელაძის** მხარდაჭერა გვამხნევებდა. პირველი საინფორმაციო სხდომა სიფრთხილით დავნიშნე, ჩემს გარდა არავინ იცოდა, სად ჩატარდებოდა. მოწვეულებს გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ დავხვდით...

იმ დილით გაზეთ „კომუნისტის“ ხელმძღვანელებს ვთხოვე სათათბირო დარბაზი 2 საათით დაეთმოთ, თუმცა არ მითქვამს რისთვის.



ხუან ანტონიო სამარანჩის და თენგიზ გაჩეჩილაძის შეხვედრა შვეიცარიაში 1991 წელს.

ასე დაიწერა შენიღბულ ვითარებაში ქართული ოლიმპიური მოძრაობის დამოუკიდებლობის თავფურცელი, პირველი ოფიციალური სხდომა კი 1989 წლის 28 ივლისს ჟურნალისტთა კავშირში, ამ ორგანიზაციის თავკაცის, **აკაკი სიხარულიძის** თანადგომით გაიმართა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (სეოკ) 1989 წლის 6 ოქტომბერს დაფუძნდა. მწვავე იყო ცენტრის რეაგირება. გვიან გავიგე, საქართველოს თვითნებობაზე გორბაჩოვისთვის მოუხსენებიათ საკავშირო სპორტის მესვეურებს. „და ნუ იხ კ ჩორტუ, რაზბერიტეს სამი“ – უთქვამს გორბაჩოვს. ეგ იყო და, უმალვე ჩამოვიდა თბილისში საბჭოთა ოლიმპიური მოძრაობის თავკაცი, **ვიტალი სმირნოვი.** მოგვეფერა, მოგვისმინა. ჩვენ უკვე გვინდოდა 1992 წლის ოლიმპიურ თამაშებში, ბარსელონაში დამოუკიდებლად მიგვეღო მონაწილეობა. ეს განზრახვა 1991 წელს, შვეიცარიაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) პრეზიდენტს, **ხუან ანტონიო სამარანჩსაც** გავაცანი. გვირჩია, არ ავჩქარებულიყავით, ამ სურვილის ასრულება შეუძლებელი იქნებოდა, ვიდრე გაერო არ გვაღიარებდა დამოუკიდებელ ქვეყნად. რამდენიმე საბჭოთა რესპუბლიკის თანადგომა-მხარდაჭერით მივაღწიეთ, რომ ბარსელონაში საბჭოთა რესპუბლიკები, „გაერთიანებული გუნდის“ სახელით, საკუთარი დროშით და ჰიმნით წარსდგნენ ამ ოლიმპიადაზე.

**მოკლედ, ასე მოკრძალებულად ვეხმიანები იუბილარ გაზეთს და ვულოცავ ძვირფას კოლეგებს!**

**თენგიზ გაჩეჩილაძე,**

**საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე, გაზეთ „ლელოს“ საპატიო რედაქტორი.**

◎ უნიკალური!

## რაინდი ხმლით



**იტალიაში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველი მოფარიკავე სანდრო ბაზაძე ფინალში ამერიკელ ელი დერშვიცთან 6:15 დამარცხდა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.**

ნახევარფინალში სანდრომ დრამატულ ბრძოლაში ეგვიპტელ ზიად ელსისის 15:14 მოუგო, მანამდე კი გერმანელ ლუის ბონაჰის, ტუნისელ ფარეს ფერჯანის, ამერიკელ მიჩელ სერონისა და იაპონელ კენტო იოშიდას სძლია.

მსოფლიოს №1-მა ხმლით მოფარიკავემ მიმდინარე სეზონში უკვე უნიკალური მიღწევა დააფიქსირა, 2022/23 წლების სეზონის ყველა (11) ძირითად ტურნირზე (მსოფლიო ჩემპიონატი, ევროპის ჩემპიონატი, ევროპული თამაშები, გრან-პრი, მსოფლიო თასი) მედალი მოიპოვა. ხოლო აქედან 10-ჯერ ფინალში იასპარეზა.

საერთო ჯამში, სანდრო ბაზაძე წინა სეზონიდან მოყოლებული კვარცხლბეკზე მეთოთხმეტე შეჯიბრს ასრულებს!

◎ თაობა

## ოქროს დუბლი

**სლოვენიის ქალაქ მარიბორში საზეიმოდ გახსნილ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე ასპარეზობა ძიუდოისტებმა დაიწყეს. ტურნირის პირველივე დღეს ორმა ქართველმა – შოთა გაჩოშვილმა (50 კგ) და მერაბ სამადაშვილმა (55 კგ) ოქროს მედლები მოიპოვეს.**

გაჩოშვილმა ფინალში ბელგიელ ასკჰაბ ისაევს შებოჭვით მოუგო, ხოლო სამადაშვილმა ოქროს მედლისთვის დაპირისპირებაში იტალიელ ემილიანო ლატანცის დამატებით დროში იპონით სძლია. მარიბორში მომდევნო დღეებში საქართველოს ნაკრების ღირსებას დაიცავენ:

**ჭაბუკები:** 60 კგ – თორნიკე გიგაური, 66 კგ – მათე გველესიანი, 73 კგ – ირაკლი ქავთარაშვილი, 81 კგ – გიორგი ბენდელიანი, 90 კგ – საბა გველესიანი, +90 კგ – შოთიკო გოჩიაშვილი.

**გოგონები:** 48 კგ – თამარ გიგოლაევა, 63 კგ – ნანა დოლიაშვილი, 70 კგ – ლიზი ქვარცხავა, +70 კგ – ნინო პაპიძე.



◎ მოვლენის წინ

## გულახდილი მონოლოგი

**ერთი თვეც და ქართული კალათბურთის ისტორიაში კიდევ ერთი საეტაპო მნიშვნელობის ფურცელი გადაიშლება – ილიას ზუროსის გაწვრთნილი ჩვენი ქვეყნის ეროვნული ნაკრები პირველად ჩაებმება მსოფლიოს ჩემპიონატზე.**

იაპონიაში აზიურ ფორუმზე გამგზავრებამდე ჯვაროსნები იტალიის ქალაქ ტრევიზოში უძლიერესი შემადგენლობით შეიკრიბნენ, დანარჩენს კი მათი ბერძენი თავკაცის საგულისხმო მონოლოგიდან შეიტყობთ:

**– ასეთ ტურნირში მოხვედრა ქართული კალათბურთის შთამბეჭდავი წარმატებაა. ოლიმპიური თამაშები და მუნდიალი ყველაზე დიდი საკალათბურთო მოვლენებია, ამიტომ სადებიუტოდ 100 პროცენტით მზად უნდა ვიყოთ, ვიბრძოლოთ და იქ გატარებული ყოველი წამით უნდა დავტკბეთ. საკლუბო კარიერაში ჩემპიონობა და თასები მომიგია, მათ შორის აზიის ჩემპიონთა ლიგაც, მაგრამ ეროვნულ ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლა სულ სხვა სიმაღლეა.**

**ეს არ არის კლუბი – შენს უკან მთელი ქვეყანა დგას. მიხარია, რომ ამ გუნდის ნაწილი ვარ. სამზადისის დაწყების პირველივე დღიდან სიამოვნებას ვიღებ და მწამს, რომ ასევე იქნება ოკინავაზეც.**

**რაც შეეხება მეტოქეებს: ვენესუელა საერთაშორისო რეიტინგში მე-17 ადგილზეა. ზოგი მის შესაძლებლობებს სათანადოდ ვერ აფასებს, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ყველა გუნდს აქვს ისტორია, ყველა ძლიერია და ყველა ცდილობს, რომ საუკეთესოდ წარმოჩინდეს. მოკლედ, მსოფლიოს ჩემპიონატზე იოლი შეხვედრები არ არსებობს.**

**ჩვენი ჯგუფისა და მთლიანად ტურნირის ფავორიტია სლოვენია, რომელშიც ნბა-სა და ევროლიგის ვარსკვლავები თამაშობენ: დონჩიჩი, დრაგიჩი, პრეპელიჩი, ტობი... ეს გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე მედლების მოსაპოვებლად მიემგზავრება და ამით ყველაფერია ნათქვამი.**

**რაც შეეხება კაზო ვერდეს, ყველა მის ლიდერს ტავარეშს გამოარჩევს, რომელიც მაღალი დონის ცენტრია, დაფარება და თამაშის სურათის შეცვლა შეუძლია. მოედანზე მისი ყოფნისას მოწინააღმდეგე იძულებული ხდება ფარისკენ პერიმეტრიდან ისროლოს. ედი გასულ სეზონში ევროლიგის საუკეთესო მცველად აღიარეს. თუმცა, კაბო ვერდეს აგრეთვე ჰყავს კოლსონი, რომელიც ევროლიგისა და მაკაბის ერთ-ერთი გამორჩეული კალათბურთელია.**

**და მაინც, ოპონენტთა ღირსებების მიუხედავად, მჯერა ჩემი გუნდის, თითოეული მისი წევრისა და იმის, რომ ჯგუფიდან გასვლა შეგვიძლია – მთავარია, ჯანმრთელად ვიყოთ და გუნდურად ვითამაშოთ. გულახდილად ვამბობ – მეტოქეებზე ნაკლებად ვფიქრობ, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ვითამაშებთ ჩვენ თვითონ.**

**38-ე სეზონია, რაც კალათბურთში ვღვრი ოფლს. ამ ხნის განმავლობაში არაერთ გუნდში ვყოფილვარ, საქართველოს ნაკრებში კი მე-8 წელია ვმუშაობ. ძალიან მადლიერი ვარ საქართველოსი და კალათბურთის ფედერაციის. მიყვარს ეს გუნდი და მოთამაშეები, ამიტომ შევწირე მათ ბევრი რამ. მაგალითად, წელს უცხოური კლუბებიდან ბევრი შემოთავაზება მქონდა, მაგრამ ეროვნული ნაკრების გამო მათზე უარის თქმა მომიწია.**

**მოკლედ, მიხარია, რომ საქმეს მათთან ერთად ვაკეთებ, ვინც მიყვარს და ვიცი, რომ მათაც ვუყვარვარ. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ იმ გრძნობებს, რომლებიც გუნდისა და ქვეყნის მიმართ გამაჩნია.**



◎ ნერვოტურნირი

## სადაა თქვენი თავმოყვარეობა?

**როგორც მოგეხსენებათ, თბილისის დინამო 1925 წელს შეიქმნა.** როგორ ხვდება ქართული საკლუბო ფეხბურთის ფლაგმანი მოახლოებულ საუკუნოვან იუბილეს? პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სავალალოდ და მდიდარი ტრადიციებისათვის შეუფერებლად.

„თეთრ-ლურჯთა“ ისტორიაში მორიგი სამარცხვინო ფურცელი გიორგი ჭიაბრიშვილის შეგირდებმა კონფერენსლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი შეხვედრის წაგებით ჩაწერეს მალტის ჰამრუნ სპარტანსთან – 1:2. დიახ, ჩვენი ერთ დროს საამაყო გუნდი უკვე იქამდე დაეშვა, რომ ვისაც არ ეზარება, ყველასათვის სასურველ საკოლექციო თოჯინას წარმოადგენს პირადი, თუნდაც აქამდე არაფრით გამორჩეული ბიოგრაფიის შესალამაზებლად.

არადა, თითქოს შიდა სამზარეულოში ყველაფერი წესრიგშია – დინამოს აკადემია წარმატებით ინარჩუნებს ტალანტთა სამჭედლოს ფუნქციას და კვლავაც ნიჭიერ ფეხბურთელთა გამოშვების კონვეიერად გვევლინება; ძნელია ეჭვქვეშ დააყენო გუნდის თავკაცის კვალიფიკაცია; კლუბის პრეზიდენტი **რომან ფიფია** სახსრებს არ იშურებს ლეგიონერთა ჩამოსაყვანად და ინფრასტრუქტურის დასახვეწად. ჩამონათვალი უსასრულოდ შეგვიძლია გავაგრძელოთ, მაგრამ ფაქტია, რომ ამით მხოლოდ გულს მოვიფხანთ, ურემის გადაბრუნებას კი, თუ ეს უკვე არ მოხდა, ვერაფრით ავიცილებთ თავიდან.

მოკლედ, 3 აგვისტოს შინ შესაძლებელია სასურველი რევანში ავიღოთ, მაგრამ ამით, უკვე მერამდენედ შებღალულ ავტორიტეტს, არაფერი ეშველება – თაობათა მიერ რუდუნებით მოხვეჭილი საუკუნოვანი სახელი ლაფშია ამოთხვრილი. როდემდე?

მადლიერება



# მაღალპროფესიონალი მკურნალები

**2023 წლის 23 ივნისიდან 6 ივლისამდე გავიარე მკურნალობის კურსი რესპუბლიკური საავადმყოფოს ქირურგიის დეპარტამენტში.**

ჩემ მიმართ გამოვლენილი და გაწეული სამედიცინო მომსახურებისთვის მსურს, გულითადი მადლობა გამოვხატო დარგის საუკეთესო მეცნიერების, სპეციალისტებისა და მომსახურე პერსონალის მიმართ: საავადმყოფოს დირექტორს ქალბატონ **თეა თავართქილაძეს,** ქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს პროფ. **ლევან გოფოძეს,** ოპერაციის შემსრულებელს, უბადლო დასტაქარს პროფ. **მალხაზ გოგუას,** გამორჩეული მზრუნველობის მკურნალ ექიმს პროფ. **კახაბერ ხუციშვილს,** სპეციალისტებს: **ანანო თვალიძეს,** დოქტორანტ **ანი ჭიპაშვილი-ამყოლაძისას, თეა ფიცხელაურს,** ანესთეზიოლოგს **ონისე ალპენიძეს,** რეანიმაციის მთელ განყოფილებას, **გულიკო ქილიფთარს, ლალი ბარნაბიშვილს.**

7 (8) პალატის თანამშრომლებს: **ციცინო მაცაბერიძეს, ნესტან ბასილაძეს, მაია გაგნიძეს, ნათია მოსეშვილს, ნათია ვარსანიძეს, მადონა ოქროპირიძეს, თამუნა ბირჩაძეს, გიორგი გერგედავას, მარიამ დარძულს.**

ასეთი გამორჩეული მენეჯმენტი, ორგანიზებულობა და სპეციალისტების მაღალპროფესიული პოტენციალი შეშურდებოდა მსოფლიოს ნებისმიერ კლინიკას.

**დიდი მადლობა, მშვიდობა და ჯანმრთელობა თქვენ!**

ღრმა პატივისცემით, მენეჯმენტის პროფ.
**გურამ (გოჩა) ამყოლაძე.**

# გერმანიის სახალხო უნივერსიტეტი ჯავახიშვილის უნივერსიტეტს დაუმეგობრდა

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ და გერმანიის სახალხო უნივერსიტეტთა ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის კავკასიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონულმა დირექტორმა, დოქტორმა თომას ლიხტენბერგმა თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერეს ხელი.**

თსუ-ის და DVV International-ის თანამშრომლობა მოიცავს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა სტაჟირებას, სასწავლო აქტივობებსა და კვლევით ურთიერთობას.

თსუ რექტორის აკადემიკოს ჯაბა სამუშიას თქმით, განათლების მენეჯმენტის განვითარებას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს ლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ხორციელდება სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა – პროფესიული განათლება. მემორანდუმის საფუძველზე, აღნიშნული პროგრამის სტუდენტები DVV International-ის რეგიონული ცენტრების ბაზაზე გაივლიან სტაჟირებას, განახორციელებენ კვლევით საქმიანობას ასევე, მონაწილეობას მიიღებენ ერთობლივ კურსებში.

**„მემორანდუმი იქნება ნაყოფიერი თანამშრომლობის დასაწყისი. პროექტის ფარგლებში, ვხვდებით ევროპული უნივერსიტეტების წარმომადგენლებს. ვფიქრობ, აკადემიური და პრაქტიკული თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია. სტუდენტებისთვის და უნივერსიტეტის პერსონალისთვის საინტერესო იქნება პრაქტიკუ-**



უნივერსიტეტისთვის. მისი ინფორმაციით, მსოფლიო ბანკი ახორციელებს ძალიან საინტერესო პროექტს, რომლის ერთ-ერთი მიმართულებაა განათლების მენეჯმენტი.

**„უახლოეს მომავალში, იგეგმება, რომ თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, პარტნიორებთან ერთად გააკეთებს საერთაშორისო განაცხადს და მონაწილეობას მიიღებს აღნიშნულ პროექტში,“** – განაცხადა ჯაბა სამუშიამ.

თსუ ასოცირებული პროფესორის რუსუდან სანაძის ინფორმაციით, თსუ ფსიქო-

**ლი მაგალითების გაცნობა“,** – აღნიშნა გერმანიის სახალხო უნივერსიტეტთა ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის კავკასიისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონულმა დირექტორმა, დოქტორმა თომას ლიხტენბერგმა.

DVV International-ი საერთაშორისო პროფესიული ორგანიზაციაა, რომელიც 1969 წლიდან 30 ქვეყანაში, ხოლო საქართველოში 2002 წლიდან ოპერირებს. 2006 წლიდან დღემდე საქართველოში ორგანიზაციამ 15 ზრდასრულთა განათლების ცენტრი დააფუძნა.

# ქართველი დეპუტატები და ჯორჯიელი კანონმდებლები

**აშშ-ში, სამუშაო ვიზიტით მყოფმა საპარლამენტო დელეგაციამ, ირაკლი ბერაიას ხელმძღვანელობით, ჯორჯიის შტატის სენატში შეხვედრა გამართა. დეპუტატები სენატის ვეტერანთა, სამხედრო საკითხთა და შიდა უსაფრთხოების, ასევე წარმომადგენელთა პალატის თავდაცვისა და ვეტერანთა საკითხების კომიტეტების თავმჯდომარეებს ესაუბრნენ.**



შეხვედრის მონაწილეებმა იმსჯელეს საქართველოს უსაფრთხოების გამოწვევებზე, ორ ქვეყანას შორის არსებულ სტრატეგიულ პარტნიორობაზე, შტატის პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში ჯორჯიას შტატის და საქართველოს შესაბამის უწყებებს შორის არსებულ მჭიდრო თანამშრომლობაზე. ქართველი დეპუტატების მხრიდან, ასევე, ხაზი გაესვა საქართველოსა და ჯორჯიის შტატს შორის ეკონომიკური კავშირების განვითარების შესაძლებლობას, ამერიკული ინვესტიციებისთვის საქართველოს მიმზიდველობას და ხელსაყრელ ბიზნეს გარემოს. დელეგაციის წევრები გაეცნენ შტატის სამართლებრივ ბაზას და შესაბამისი კომიტეტების საქმიანობის სპეციფიკას სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობების, ვეტერანთა მხარდაჭერის და საზედამხედველო სფეროებში.

# რა ვერ გაიყვეს პოეტმა და ბიზნესმენმა „მზიურში“?







**მზიურის პარკთან ბიზნესმენ ტატო გურგენიძის დაჭრის ფაქტზე დაკავებულია პოეტი დავით გაბისკირია. არსებული ცნობით, გაბისკირია 25 ივლისს, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, რამდენიმე საათში კი ის სამართალდამცველებმა დააკავეს.**

როგორც „მთავარ არხს“ დაჭრილი ბიზნესმენის დამ, ნინო ბეროშვილმა განუცხადა, ოჯახს არ აქვს ინფორმაცია, თუ რა იყო დანაშაულის მოტივი. ტატო გურგენიძეს, რომელიც სამშენებლო კომპანია „ტაგი გრუპის“ 50-პროცენტიანი წილის მფლობელია, 25 ივლისს დაესხნენ თავს და რამდენიმე ჭრილობა მიაყენეს. არსებული ცნობით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

მომხდარზე გამოძიება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების მუხლებით მიმდინარეობს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, დაკავებულ დავით გაბისკირიას სამიდან ექვს წლამდე პატიმრობა ემუქრება.

# 350 ბავშვი ცურვას სრულიად უფასოდ სწავლობს



**ფოთში ცურვის შემსწავლელ ფესტივალზე ქალაქში მცხოვრები 5-დან 15 წლამდე ასაკის მოზარდები მონაწილეობენ. ფოთელი ბავშვებისათვის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, წყალბურთის კლუბ „დინამო თბილისის“ აკადემიის მწვრთნელები წარმართავენ ცურვის შემსწავლელ პროგრამას. ფესტივალის ფარგლებში, გადამზადდებიან ადგილობრივი მწვრთნელები, რომლებიც სავარჯიშო პროცესში ჩაერთვებიან და აიმაღლებენ კვალიფიკაციას. მოზარდებს ცურვის გაკვეთილები კვირაში 3-ჯერ უტარდებათ.**

პროექტი, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, წყალბურთის კლუბ "დინამო თბილისის" და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ხორციელდება. ცურვის შემსწავლელი ფესტივალი 19 აგვისტოს ჩათვლით გაგრძელდება.

# ბეგალოვი საფრანგეთის აფთიაქებს ძარცვავდა

**საფრანგეთში საქართველოს მოქალაქე დავით ბეგალოვი დააკავეს, რომელსაც ბრალად ედება 17 აფთიაქის ძარცვა და ძარცვის მცდელობა. გამოძიების მიხედვით, 36 წლის კაცმა დანაშაული 15-22 ივლისის პერიოდში, ოქსიტანიის რეგიონის ხუთ სხვადასხვა ნაწილში ჩაიდინა. მას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.**

როგორც ადგილობრივი მედია წერს, დაკავებული ბრალს არ აღიარებს მიუხედავად იმისა, რომ მის წინააღმდეგ მრავალი სამხილი არსებობს. სასამართლო პროცესი 25 ივლისს, მონტობანის სასამართლოში გაიმართა.



# ლეგენდარული ნანი ბრეგვაძის ვარსკვლავი ბაქოს ვარსკვლავების ხეივანში



**ბაქოში, ვარსკვლავების ხეივანში ეს პირველი ქართველის ვარსკვლავია.** ცერემონიას ნანი ბრეგვაძე პირადად დაესწრო. ბაქოში დაგეგმილია ბუბა კიკაბიძის ვარსკვლავის გახსნაც.

**„ძალიან მადლობელი ვარ. ეს სიმღერა ბუბას უნდა შეესრულებინა, თუმცა, ხდება ხოლმე მსგავსი უკიდურესად არასასიამოვნო მოვლენები. ბუბა დღეს ჩვენთან აღარ არის, თუმცა, ჩემთვის ის ყოველთვის ცოცხალია და ჩემს გვერდითაა, ის არსად წასულა, შეუცვლელია. როდესაც ემინი სიმღერის ჩაწერას დათანხმდა ძალიან შემეშინდა. დუეტის ჩაწერას ყოველთვის ვერ დათანხმდები მაგრამ, ეს განსაკუთრებული შემთხვევა იყო. თქვენ ვერც კი წარმოიდგენთ როგორ ვარ აზერბაიჯანზე შეყვარებული. მეც და ბუბასაც ბავშვობიდან ძალიან გვიყვარდა აზერბაიჯანი, თქვენ ძალიან მუსიკალური ხალხი ხართ“,** – განაცხადა ნანი ბრეგვაძემ.

# ამერიკელი ღვინის პროფესიონალთა ტური საქართველოში



**ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, საქართველოში ამერიკელი ღვინის პროფესიონალების ტური განხორციელდა. სტუმრებს შორის იყვნენ ღვინის იმპორტიორები და ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners“ წარმომადგენლები. ტურის მიზანი აშშ-ის ბაზარზე ქართულ ღვინის ცნობადობის გაზრდის ხელშეწყობა იყო.**

პროფესიონალების 13-კაციანი ჯგუფის წევრები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს კახეთსა და ქართლში ესტუმრნენ, სადაც ქართული ღვინის დაყენების ისტორიას და ტრადიციებს გაეცნენ, ადგილზე დააგემოვნეს როგორც კლასიკური წესით, ასევე ტრადიციული მეთოდით დამზადებული ქართული ღვინოები. ტურის ფარგლებში, თბილისში, სტუმრებისთვის გაიმართა ქართული ღვინის მასტერკლასი, სადაც წარმოდგენილი იყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ღვინოები.

2023 წლის 6 თვეში საქართველოდან აშშ-ში ექსპორტირებულია 434 ათასი ლიტრი ღვინო, ზრდა, გასული წლის ანალოგიური პერიოდთან შედარებით 5%-ია. ამასთან, აშშ-ის ბაზარი ქართული ღვინისთვის ერთ-ერთი ყველაზე მაღალფასიანი სეგმენტია, სადაც ქართული ღვინის ერთი ლიტრის ფასი 6 აშშ დოლარს აღემატება.



# კბენია პრეზიდენტის კბენია ძაღლი...

**ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ჯო ბაიდენის ძაღლმა, სახელად კომანდერმა თეთრ სახლსა და დელავერში 10-მდე ადამიანს უკბინა.**

ამერიკის საიდუმლო სამსახურის წევრები გერმანული ნაგაზის ჩვევებზე ნერვიულობენ. ბაიდენის ოჯახი, საიდუმლო სამსახური და აღმასრულებელი სამსახურის წევრები კომანდერის დამატებით წვრთნებზე ერთად მუშაობენ. 22 თვის კომანდერმა საიდუმლო სამსახურის თანამშრომელს ხელსა და ბარძაყზე უკბინა. ინციდენტის შემდგომ დაშავებულს მკურნალობა კლინიკაში დასჭირდა. შემთხვევა 2022 წლის ნოემბერში მოხდა. 2022 წლის ოქტომბერშივე პირველმა ლედიმ, ჯილ ბაიდენმა ვერ შეძლო ძაღლის გაკონტროლება და კომანდერი კიდევ ერთ თანამშრომელს დაესხა თავს.

**„მხოლოდ დროის ამბავია, თუ როდის დაესხმება თავს კომანდერი სხვა აგენტს ან ოფიცერს“,** – ნათქვამია თეთრი სახლის წარმომადგენლის წერილში. თეთრი სახლის წარმომადგენლების თქმით, თეთრი სახლის კომპლექსი განსაკუთრებული და ხშირად სტრესულია ძაღლებისთვის. ამერიკის პირველი ოჯახი მუშაობს სიტუაციის გასაუმჯობესებლად. სხვადასხვა სამსახურთან თანამშრომლობით კომანდერი დამატებით წვრთნებს გადის.

**„პრეზიდენტი და პირველი ლედი საიდუმლო სამსახურის მიმართ მადლიერებას გამოხატავენ ოჯახისა და ქვეყნის დაცვისთვის“,** – აღნიშნა თეთრი სახლის წარმომადგენელმა.

# მსახიობი, რომელმაც კინოს ისტორიაში ყველაზე დიდი ჰონორარი მიიღო



**ფილმისთვის Red One მსახიობმა დუეინ ჯონსონმა 50 მილიონი დოლარი მიიღო, რაც კინოს ისტორიაში ყველაზე დიდი ჰონორარია.**

აქამდე ჯონსონის ყველაზე დიდი ჰონორარი 23,5 მილიონ დოლარს შეადგენდა, რომელიც მან ფილმისთვის „ჯუმანჯი: ახალი დონე“ მიიღო. ჯონსონი – წარსულში ცნობილი რესლერი – ჰოლივუდის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ მსახიობად ითვლება. ფილმებმა მისი მონაწილეობით მსოფლიო გაქირავებაში 12,5 მილიარდ დოლარზე მეტი მოაგროვა. ჯონსონამდე ყველაზე დიდი ჰონორარის რეკორდი რობერტ დაუნი-უმცროსს და უილ სმიტს ეკუთვნოდათ, რომლებმაც ფილმებისთვის „პირველი შურისმაძიებელი: სამოქალაქო ომი“ და „მეფე რიჩარდი“ 40-40 მილიონი დოლარი მიიღეს.

# აშშ-სა და კანადაში წლის ყველაზე შემოსავლიანი ფილმი



**რეჟისორ გრეტა გერვიგის ფილმმა „ბარბი“ აშშ-სა და კანადაში შემოსავლების რეკორდი დაამყარა.**

სურათმა გაქირავების პირველ უიკენდზე ამ ორ ქვეყანაში $155 მილიონი შეაგროვა, რაც წლის საუკეთესო შედეგია. ამასთან, თვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფილმის – კრისტოფერ ნოლანის „ოპენჰაიმერის“ შემოსავალმა აშშ-სა და კანადაში $93,7 მილიონი შეადგინა. ორივე ფილმის პრემიერა პარასკევს შედგა. „ოპენჰაიმერი“ პირველი ატომური ბომბის შემქმნელის, რობერტ ოპენჰაიმერის შესახებ მოგვითხრობს, რომლის როლსაც კილიან მერფი ასრულებს. „ბარბი“ კი ცნობილი თოჯინის რეალურ სამყაროში მოგზაურობაზეა. მთავარ როლს სურათში მარგო რობი ასრულებს.


საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.


# იწვის ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ზოლი



**ალჟირში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს გასწვრივ ტყის ხანძარია. ბოლო მონაცემებით, სტიქიას 34 ადამიანი ემსხვერპლა.**

ალჟირის სამოქალაქო დაცვის სამსახურის ცნობით, ხანძრის 15 კერა ქვეყნის რვა რეგიონშია. დაღუპულთა შორის 10 სამხედროა.

ცეცხლი ტყის მასივსა და ზეთის ხილის ნარგავებზე გავრცელდა. ადგილობრივი ხელისუფლების ცნობით, ცეცხლის ჩაქრობის ოპერაციაში რვა ათასზე მეტი მეხანძრეა ჩართული. სახლებიდან ევაკუირებულია 1 500-მდე ადამიანი. ძლიერი ქარის გამო ცეცხლი მეზობელ ტუნისშიც გავრცელდა, რის გამოც დაიხურა ორი სასაზღვრო-გამშვები პუნქტი. ჰაერის ტემპერატურამ ტუნისში 49 გრადუსს მიაღწია.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 31 ივლისს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5771; ევრო - 2.9082;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3903;
100 რუბლი - 2.8890; თურქული ლირა - 0.0966;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5337;
1000 სომხური დრამი - 6.7387

**ამინდი 27 ივლისისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +18, | დღე +36 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +13, | დღე +35 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +19, | დღე +39 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +17, | დღე +38 |
| თბილისი: | ღამე +23, | დღე +35 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge